კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მარია გიორგაძე

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის კონსტიტუციური ასპექტები საქართველოში

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : ასოცირებული პროფესორი,

სამართლის დოქტორი

ბექა ქანთარია

თბილისი: 2020 წ.

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განსახილველი საკითხის ანალიზისა და დამუშავების შედეგად ვეცადე მესაუბრა რელიგიის, კერძოდ ეკლესიის როლსა და ადგილზე სახელმწიფოში. როგორია მათი თანამშრომლობა ქვეყნის განვითარების პროცესში და რა ადგილი უკავია კონსტიტუციურ-სამართლებრივად ეკლესიას სახელმწიფოში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი სუბიექტია, როგორც საქართველოში ასევე სხვა სახელმწიფოებშიც. თემის ირგვლივ და მისი უკეთ შესწავლის მიზნით საჭიროდ ჩავთვალე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის შესწავლა დამეწყო წარსულიდან, ჯერ კიდევ პირველი საუკუნიდან, როდესაც ქრისტიანობა იწყებს გავრცელებას საქართველოში. რაც შეეხება უკვე ეკლესიის კოსტიტუციურ-სამართლებრივ ადგილს ქვეყანაში ამის სრულყოფილად აღსაქმელად და პარალელის გასავლებად ჩემს ნაშრომში განხილული მაქვს ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და ტრადიციები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე მათი წარსულისა და აწმყოს გათვალისწინებით.

აღნიშნულ საკითხზე ნამდვილად არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს საკითხი დასრულებული სახითაა წარმოჩენილი, თუმცა ძირითადი საკითხები, რაც ამ ნაშრომის ფარგლებში შესაძლებელი იყო, საკამოდ გავრცობილადაა გადმოცემული.

ნაშრომი შედგება ექვსი ძირითადი თავისაგან. მისი **პირველი თავი** ეხება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ტრადიციებს, მოდელებსა და ურთიერთობის კონსტიტუციურ ასპექტებს. **მეორე თავი** ეხება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სამართლებრივ ჩარჩოს, რომელშიც ქვეთავებად განხილულია საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმეტები. **მესამე თავი** დათმობილი აქვს ევროპის ქვეყნებს, რომლებიც ჩაშლილია ქვეთავებად მათი მმართველობის მოდელების მიხედვით. **მეოთხე თავი** ეხება საქართველოში

ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობას, რომელიც ასევე ქვეთავებადაა ჩაშლილი და მოიცავს ამ ურთიერთობის XX საუკუნოვანი ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტების მიმოხილვას სხვადასხვა საუკუნეებში. **მეხუთე თავი** უკვე აღწერს ეკლესია - სახელმწიფოს ურთიერთობის კონსტიტუციურ ასპექტებს, ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობასა და სტატუსს სახემწიფოში. ამ თავში ასევე განხილულია სახელმწიფოსა და მართმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება. ბოლო, **მეექვსე თავი** კი ეხება ამ კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულების მექანიზმებს.

დასკვნის სახით კი შესაძლებელი გახდება მოკლე ანალიზის გაკეთება სახელმწიფო-ეკლესიას შორის ურთიერთობისა და ამ ურთერთობის დადებით მხარეებსა და ნაკლოვანებებზე ჩემი სუბიექტური აზრის გადმოცემა.

Maria Giorgadze

Constitutional aspects of the relationship between the State and the Church in Georgia

Annotation

As a result of the analysis and elaboration of the issue to be discussed in the master's the is, I tried to talk about the role of Religion, in particular the Church, in particular the Church, and the place in the state. What is their cooperation in the development of the country and what is the place of the Constitutional-Legal Church in the state.

In relation to this issue, it can be said with certainty that the Church is subject of special status, both in Georgia and in other states, I felt the need to study the relationship between the state and the Church around the topic and to better understand it. I started from the past, from the first century, when Christianity began to spread in Georgia. As for the Constitutional-legal place of the Church in the country, in order to fully understand and draw parallels with it in the country, we have discussed in the paper the legal models and traditions of Church-State relations, following the exams of different countries, taking into account their past and present.

It is not possible to say that this issue is over, but main issues that could have been raised in this paper are quite widespread. The paper consists of six main chapters. Its **first chapter** deals with the traditions, models and constitutionals aspects of the relationship between church and state. **The second chapter** deals with the legal framework of freedom of religion and belief, in which international legal documents are discussed as international legal documents. **The third chapter** is devoted to European countries, which are divided into subsections according to their governance models. **The fourth chapter** deals with the relationship between church and state in Georgia, which is also subverted, and includes a review of important facts of the twentieth century history of this relationship in different centuries. **The fifth chapter** already describes the Constitutional aspect of Church-State

relations. The legal status and status of the Church in the State. This chapter also discusses the Constitutional agreement reached between the state and the Orthodox Church. **The last chapter** deals with the mechanisms for enforcing these constitutional agreements.

In conclusion, it will be possible to make a brief analysis of the relationship between the state and the church and to convey my subjective opinion on the pros and cons of this relationship.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები 10

1.1 სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მნიშვნელოვანი ტრადიცია 10

1.1.1 ფუნდამენტალისტური 10

1.1.2 ბიზანტიური ტრადიცია 11

1.1.3 სეკულარიზმი 11

1.2 სახელმსიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მოდელი 13

1.3. რელიგიური გაერთანებების კონსტიტუციური ინსტიტუციონალიზაცია 15

თავი II. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთშორისო სამართლებრივი ჩარჩო.. 17

2.1 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 18

2.2 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950წ) 19

2.3 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ(1966წ)... 21

თავი III. მართმადიდებლური ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 25

3.1 ქვეყნები სახელმწიფო ეკლესიის სისტემით 25

3.1.1 დანია 25

3.1.2 ფინეთი 27

3.1.3 საბერძნეთი 29

3.2 სახელმწიფოსა და ეკლესიის მკვეთრი გამიჯვნის პრინციპი 30

3.2.1 ნიდერლანდები 31

3.2.2 საფრანგეთი 32

3.3 სახელმწიფოსა და ეკლესიის მჭიდრო თანამშრომლობის სისტემა 33

3.3.1 ესპანეთი 33

3.3.2 იტალია 34

თავი IV. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოში 37

4.1 ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში 37

4.2 საეკლესიო რეფორმები საქართველოში 38

4.2.1 ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა 38

4.2.2 დავით IV აღმაშენებლის რეფორმები 39

4.2.3 ვახტანგ VI სამართლის წიგნი. 41

4.3 ქართული ეკლესია საბჭოთა ბატონობის პერიოდში 42

4.4 სახელმწიფოსა დე ეკლესიის ურთიერთობა ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ..... 43

4.5 ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ქართული მოდელი 45
4.6 ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი 47
V.კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და მართმადიდებელ ეკლესიას შორის 51
5.1კონსტიტუციური შეთანხმების დადების მიზეზები და წინმდევი პროცესები..... 51
5.2 კონსტიტუციური შეთანხმების შინაარსი 52
5.3 კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი სტატუსი 53
5.4 საფინანსო თანამშრომლობა..... 55
VI.კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულება 57
დასკვნა..... 60
გამოყენებული ლიტერატურა..... 64

შესავალი

ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში. მათ შორის ცვალებადი და მრავალმხრივი ისტორიული ურთერთობები მრავალჯერ გამხდარა დაპირისპირების მიზეზი. მიუხედავად ამისა ეკლესია ყოველთვის იყო სახელმწიფოს იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი.[1] შუა საუკუნეებში კი სახელმწიფო მთლიანად გადაწყობილი იყო ეკლესიურ იდეოლოგიაზე.[2]

რაც შეეხება სოციალურ და სამართლებრივ ურთიერთობებს, რელიგიას მასშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან იგი არამარტო კულტურული თუ ისტორიული, არამედ სამართლერივი მოვლენაცაა. იგი ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი და კაცობრიობის შემაკავშირებელი ელემენტია.[3] მას შემდეგ, რაც ქრისტიანობის გავრცელება დაიწყო საქართველოში, იგი მალევე გახდა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი აუცილებელი ნაწილი. შუა საუკუნეების პერიოდში კი რელიგია ისეთივე დომინანტურ მდგომარეობაშია საქართველოში, როგორც ეს დამახასიათებელი იყო იმ დროის ევროპის ქვეყნებისათვის.[4]

თემის ირგვლივ ანალიზის დროს მნიშვნელოვნად ჩავთვალე ისტორიული მიმოხილვა გამეკეთებინა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურიერთობის სამართლებრივ მოდელებსა და ტრადიციებზე, რომელიც განსხვავებული იყო სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფოში. ამის მიხედვით კი განვიხილე ევროპის რამდენიმე ქვეყანა, შევისწავლე ამ სახელმწიფოების დამოკიდებულება და ურთიერთკავშირი ეკლესიასთან, ეკლესიის ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა სახელმწიფოში და თუ რა ადგილი აქვს მას კონსტიტუციურ

---

[1] თ.ბუაძე,ეკლესია და სახელმწიფო 01.07.3013, http://www.orthodoxtheology.ge/churchstate/?fbclid=IwAR3gajt94I2uOgu0yyZHHFa_tAT63oOktwQP508jW1wObp4iahrpxaV4-MQ [23.04.2020. 23:13].

[2] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.13.

[3] იხ., იქვე, გვ.12.

[4] იხ., იქვე.

სამართლებრივად ამ ქვეყნებში. ამის ფონზე კი მოცემულ ნაშრომში განხილული ქვეყნების დალაგება მოვახდინე იმ ისტორიული ტრადიციებისა და მოდელების მიხედვით, რომელიც ზემოთ ვახსენე.

ასევე მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ შემესწავლა ის სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც რწმენისა და რელიგიის უფლებების დაცვის თვალსაზრისთ საერთაშორისო ხასიათს ატარებს, ვინაიდან და რადგანაც რწმენისა და აღმსარებლობის უფლება კონსტიტუციურად დაცულ, აბსოლიტურ უფლებას წარმოადგენს.[5]

საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის შესწავლისა და მათი თანამშრომლობის კონსტიტუციური ასპექტების ანალიზის დროს საჭიროდ ჩავთვალე ამ საკითხის ირგვლივ ინფორმაციის შესწავლა დამეწყო მისი წარსულიდან. თუ როგორ მოხდა მართმადიდებლური რელიგიის გავრცელება საქართველოში, რა როლი ეკავა ეკლესიასა და რელიგიას შუა საუკუნეებში ქვეყნის განვითარების პროცესში და ა.შ.

საქართველოში რელიგია გამოხატულია საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიით, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეკლესიის როლი საქართველოში მარტო ისტორიული მნიშვნელობით არ შემოიფარგლება. იგი დღესაც აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის ჩამოყალიბება-განვითარებაში. ეკლესიის ასეთი განსაკუთრებული სტატუსი და მრავალფუნქციური დანიშნულება გამომდინარეობს არამარტო მისი ისტორიულ-საზოგადოებრივი როლით სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოსა და მართმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მეშვეობითაც.[6] შეთანხმების მიხედვით კი ეკლესიის ეს განსაკუთრებულობა მუდმივია ყველა დროსთან მიმართებით.[7]

---

[5] საქართველოს კონსტიტუციაის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი.

[6] კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის.
იხ.,https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626?publication=0

[7] ა. აბზიანიძე, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები (დის.,) სტუ, თბილისი 2006. გვ.3

ბოლოს, ამ თემის კვლევის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთერთობის განსაზღვრა, თუ რა უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელია ეკლესია სახელმწიფოში, როგორია მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი და რა როლი აკისრია მას საზოგადოებაში.

თემის ირგვლივ საკვლევ მასალად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ნორმატიული მასალა, კონვენციები, დეკლარაცია, სხვადასხვა სახის მეცნიერული ნაშრომები, დისერტაციები და სტატიიები.

რაც შეეხება ნაშრომის შინაარსსა და სტუქტურას, იგი შედგება ანოტაციის, შინაარის (სარჩევი), შესავალის, 6 თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

თავი I. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები

1.1 სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მნიშვნელოვანი ტრადიცია

მას შემდეგ, რაც რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა, იმპერიის სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოაცხადა, მკვეთრად შეიცვალა ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. თუ თავდაპირველად უპირატესი მმართველობა საერო ხელისუფლებისაკენ იყო მიმართული, მოგვიანებით ეს უპირატესობა საეკლესიო ხელისუფლებას მიენიჭა. 20 საუკუნოვან ქრისტიანობის ისტორიას თუ გადავხედავთ ჩვენ გამოვყოფთ სამი სახის ტრადიციას, რომელიც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას შეეხება. ეს სამი ტრადიციაა - ფუნდამენტალისტური, ბიზანტიური და სეკულარული.[8]

1.1.1 ფუნდამენტალისტური

ფუნდამენტალისტური ტრადიციას თუ რომის მაგალითზე განვიხილავთ, მმართველობა ხორციელდებოდა რომის პაპის მიერ.[9]

ამ ყველაფერს ჰქონდა ეკლესიის მხრიდან თავისი ახსნა. რომლის მიხედვითაც: ერთადერთი საშუალება, ვისაც შეუძლია ნებისმიერი ძალაუფლების მინიჭება და წართმევა არის უფალი, მაშასადამე, სასულიერო პირი, რომელიც მსახურობს ეკლესიაში, იქნებოდა ერთადერთი საშუალება უფლის ნების გამოვლენისა.

[8] სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი ტრადიცია, იხ., http://message.ge/ [06.05.20 12:28].

[9] იხ., იქვე.

სწორედ მსგავსი მიდგომითა და ლოგიკის გამოყენებით ხდებოდა ეკლესიის როლის გაზრდა საზოგადოებაში.[10]

1648 წლის ვესტფალიის ზავის[11] შემდეგ ფუნდამენტალიზმის პრინციპი თითქმის ქრება და რელიგიურ იდენტობებს ნაციონალური იდენტობები ანაცვლებს.[12]

1.1.2 ბიზანტიური ტრადიცია

ბიზანტიური ტრადიცია ყველაზე ძველია. ამ ტრადიციის მიხედვით ეკლესია ყოველთვის უნდა ყოფილიყო თანხმობასა და თანხვედრაში საერო ხელისუფლებასთან. „ხმა ერისა, ხმა ღვთისა". ბიზანტიურ ტრადიციაში ეკლესია არის ერთ-ერთი საშუალება საერო მიზნის მისაღწევად. თუკი სასულიერო საკითხები წარმოშობდა ისეთ საკითხებს, რომელიც მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის, ეს უკანასკნელი მოახდენდა ჩარევას რელიგიურ დოგმატიკაში და ისე მოახდენდა მის ფორმირებას როგორც სასურველი იყო სახელმწიფოს ინტერესებისათვის.[13]

1.1.3 სეკულარიზმი

უახლესი ტრადიცია სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობისა - სეკულარიზმია. იგი განმანთლებლობიდან იღებს საფუძველს. სეკულარიზმი ეფუძნება

---

[10] იხ., იქვე.

[11] ვესტფალიის ზავი, იხ., https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%96%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98?fbclid=IwAR2APtiUoRgVT1DnFM24QbG7q-gIitAjVDmVeKjikivCfnHBvZ1mpHd72Vc [26.04.20. 02:38]

[12] სახელმწიფოსა და ეკლესიის სამი ტრადიცია იხ., http://message.ge/ [26.04.20. 02.51]

[13] იხ., იქვე.

შეხედულებას, რომ ეს ორი ხელისუფლება უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან.[14]

სეკულარიზმის მთავარი აზრი ხელისუფლებისა და ეკლესიის გამიჯვნაა, როგორც ინსტიტუციურ, ისე კონსტიტუციური დონეზე. სეკულარულ სახელმწიფოში რელიგიური გაერთიანებები გამიჯნულნი არიან მხოლოდ სახელმწიფოსგან. რაც შეეხება ეკლესია-საზოგადოების ურთიერთობას, იგი არ ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის შეზღუდვას. ეკლესია წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაწილს საზოგადოებისა.[15]

სეკულარიზმი, როგორც ტერმინი ლათინურიდან **saeculum** მოდის, რომელიც ჩვენთვის სოციალურ-პოლიტიკური გაგებით ნიშავს საეროს, გასაერებულს. სეკულარიზმის არსებობის მთავარი შეხედულება იმაში მდომარეობს , რომ იგი მოიაზრებს რელიგიური შეხედულებებისაგან, წესებისაგან და სხვადასხვა ინსტიტუციური ზეგავლენისაგან თავისუფალ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს.[16]

სეკულარიზმი არ აღიქმება ისე, თითქოს სახელმწიფო არის ის მექანიზმი, რომელიც უგულებელყოფს რელიგიას საზოგადოებაში. პირიქით, სახელმწიფოს მხრიდან უნდა ხდებოდეს ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც აუცილებლად მოახდენს რელიგიისა და რწმენის უფლების დაცვას.[17]

სეკულარიზმი, ერთგვარად, მსოფლმხედველობაცაა. მასში ჯეფერსონი რელიგიურ გაერთიანებათა დამოუკიდებლობის, ავტონიმიისა და თავისუფლების გარანტიას ხედავდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯეფერსონისეული „გამიჯვნა“ უფრო ეკლესიასა და სახელმწიფოს ეხებოდა, ვიდრე ზოგადად რელიგიასა და

---

[14] იხ., იქვე.

[15] იხ., იქვე

[16] სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში. ავტორთა კოლექტივი: ზაზა ვაშაყმაძე, ლევან აბაშიძე,, ზაზა ფარალიშვილი, გელა კვარაცხელია, არჩილ მეტრეელი, დავით დავითაშვილი, არჩილ გორხელაშვილი. თბილისი 2016წ. გვ 11.

[17] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, 53.

ხელისუფლებას. სეკულარული, იგივე საერო სახელმწიფოს ამოსავალი იდეა საკუთარ მოქალაქეთა და რელიგიურ გაერთიანებათა შორის მაქსიმალური თანასწორობის დაცვაა.[18]

1.2 სახელმსიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მოდელი

ქვემოთ წარომდგენილია სამი ძირითადი მოდელი, რომელიც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას განაპირობებს. ეს ურთიერთობები თანამედროვე სამართლის ჩარჩოებში არიან მოქცეულნი. თითოეულ მოდელს ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნები აქვს. თითოეული ამ მოდელების ნახვა შესაძლებელია სხვადასხვა ქვეყნის მთავარ კანონებში, კონსტიტუციებში.[19]

პირველ მოდელი ესაა: დიდი დისტანცია და მკაცრი გამიჯვნა

ამ მოდელში ყველაზე დიდია დისტანცია რელიგიასა და სახელმწიფოს შორის. დიდი დისტანციის პირობებში, როგორც მორწმუნეებს, ასევე ეკლესიებსაც შეუძლიათ დაუბრკოლებელი განვითარება. ამ მოდელის მქონე სახელმწიბოებისათვის ძნელია რაიმეს აკრძალვა, რადგან მისთვის ყველა რელიგია თანასწორია და ამავე დროს თანაბრად უმნიშვნელოა. მიუხედავად იმისა, დიდია ეს რელიგიური ჯგუფები თუ არა, აღიარებს კონსტიტუციურ ფასეულობებს თუ უგულებელყოფს.[20] რელიგიურ შეხედულეებთან და მის ორგანიზაციებთან დაკავშირებით სახელმწიფოში არ წარმოიქმნება თანასწორუფლებიანობის პრობლემა, რადგან სახელმწიფოს ძალაუფლება რელიგიისგან განზე დგას.[21]

მეორე მოდელი: რელიგიათა თანასწორუფლებიანობა

---

[18] იხ., იქვე.

[19] ზ.ჯუღელი, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მოდელი იხ.,http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=346&fbclid=IwAR2qlQsr-DQPbC7IwKWbiCuhgrFLekIGM6L64FaoRV1CO-Cs-TakQ2id29c [27.04.20 00.19].

[20] იხ., იქვე.

[21] ზ.ჯუღელი,სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მოდელი, იხ., http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=346&fbclid=IwAR3Y43XwnK4VyQFYFtWEH3krBQuun7v_fz__bS_ZyaMpH71BDSs8FjMZspo [26.04.20 18:45].

იგი დაკავშირებულია თანასწორუფლებიანობის საზღვრებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ფორმალურ და მატერიალურ თანასწორობასთან დაკავშირებით, უკვე გვქონდა საუბარი დისტანციის მოდელის განხილვისას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი რელიგიური გაერთიანება სახელმწიფოსთვის თანაბარმნიშვნელოვანია. ეს მოდელი განსაკუთრებით სამართლიანია მაშინ, როდესაც უმცირესობაში მყოფი ჯგუფები განიცდიან უთანასწორო მოპყრობას. თანასწორუფლებიანობის მოდელის დანიშნულება არის ,არა გამიჯვნა სახელმწიფოსა და რელიგიური ჯგუფებისა, არამედ მათ შორის კავშირის შექმნა და დაახლოება.[22]

მესამე მოდელი: ინტეგრაცია სიახლოვით

მესამე მოდელისათვის დამახასიათებელია არა გამიჯვნა და დისტანცია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, არამედ დაახლოება, მორალურ და სამოქალაქო ფასეულობებთან დაკავშირებით თანამშრომლობა და ურთიერთშევსება.[23]

ისტორიული ასპექტით, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კავშირმა შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ზოგიერთ დომინანტურ რელიგიას დიდი გავლენა აქვს. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროპის დასავლეთ ნაწილი, რომელშიც დომინანტურ რელიგიად გვევლინება ქრისტიანობა პროტენსტანტული ან კატოლიკური ტრადიციით და ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში მართმადიდებლურით. იმ ქვეყნებში, რომლებიც რელიგიის გავლენის ქვეშ მოექცნენ (მაგალითად ქრისტიანობა ევროპის ქვეყნებში) რელიგიამ შეაღწია როგორც საზოგადოებრივ, ასევე საკონსტიტუციო მორალის სფეროებში. ამ მიზეზით ქრისტიანობას მოიხსენიებენ, როგორც „სამოქალაქო რელიგიას“. ქრისტიანობა ორ თვალსაზრის გულისხმობს: პირველის მიხედვით რელიგიურ შეფასებას საზოგადოების მორალის კუთხით თუ მოვახდენთ, ცნება

---

[22] ზ.ჯუღელი,სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მოდელი, იხ., http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=346&fbclid=IwAR3Y43XwnK4VyQFYFtWEH3krBQuun7v_fz__bS_ZyaMpH71BDSs8FjMZspo [26.04.20 18:45].

[22] იხ., იქვე.

[23]იხ., იქვე.

„საერო“ უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე „რელიგია“. მეორე ასპექტი უპირატესობას „რელიგიას“ანიჭებს.[24]

ამ მოდელისათვის აუცილებელია რელიგიის თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებული განსხვავებების პატივისცემა. მესამე მოდელისათვის დაუშვებელია სამართლებრივი იძულება რომელიმე რელიგიის აღიარებასთან დაკავშირებით. მესამე მოდელში, ისევე, როგორც პირველი მოდელისათვის არის დამახასიათებელი, უზრუნველყოფილია სახელმწიფო-ეკლესიას შორის დისტანცია. ასევე ეს მოდელი ითვალისწინებს უმცირესობაში მყოფი რელიგიის მიმართ მხარდაჭერას, როგორც მეორე მოდელისთვისაა დამახასიათებელი. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მოდელეში უპირატესობები და ნაკლოვანებები მეტ-ნაკლებად ათანაბრებს ერთმანეთს.[25]

1.3. რელიგიური გაერთანებების კონსტიტუციური ინსტიტუციონალიზაცია

რელიგიური გაერთიანებების კანონმდებლობის თვალსაზრისით ორი ფორმა არსებობს: პირველი, ორგანიზაციები, რომლებიც კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არიან რეგისტრირებულნი და მეორე, რელიგიური გაერთიანებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა არ ანიჭებს უფლებას, რომ რელიგიური გაერთიანებები იყოს რეგისტრირებული რომელიმე იურიდიული პირის ფორმით, თუმცა ასეთ სახელმწიფოებში არსებობს სპეციალური ორგანიზაციული სისტემები, რომლებიც ახდენენ რელიგიური გაერთიანებების ინტეგრაციას ეროვნულსამართლბრივ სისტემაში. რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ-ის ფორმით, ქვეყანაში რეგისტრირებული სხვა სსიპ -ისგან განსხვავდება იმით, რომ ის არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლებას, არ წარმოადგენს

[24] იხ., იქვე.
[25] ზ.ჯუღელი,სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მოდელი, იხ., http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=346&fbclid=IwAR3Y43XwnK4VyQFYFtWEH3krBQuun7v_fz__bS_ZyaMpH71BDSs8FjMZspo [26.04.20 18:55].

სახელმწიფო ორგანოს და არ ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას. ხოლო ა(ა)იპ-სგან განასხვავებს დაფინანსების სქემა და სამართლებრივი სტატუსი. სსიპ-ად რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებისათვის დამახასიათებელია საგანმანათლებლო და საჯარო ფუნქციების შესრულება. სახელმწიფოში, სადაც ორივე ფორმის რელიგიური გაერთიანება დაიშვება, მათ შორის განსხვავებულ მდგომარეობას აბალანსებს ყველა რელიგიისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი საკანონმდებლო სივრცე.[26]

[26]თ. ერქვანია, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართებრივი კონტექსტი-ქართული მოდელი, გვ 4.

თავი II. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთშორისო სამართლებრივი ჩარჩო

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ საერთაშორისო სამართებრივ ჩარჩოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ჭრილში. ნაწილობრივ განხილული იქნება ის საერთაშორისო აქტები, რომლებიც რელიგიისა და რწმენის თანამედროვე გააზრების მექანიზმს ქმნიან.[27]

რელიგიისა და რწმენის სამართლებრივი ჩარჩოს განხილვის დროს მნიშვნელოვანია განხილული იყოს სხვადასხვა საერთაშორისო აქტები, რადგან ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა, როგორც ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ საერთაშორისო აქტებს, რომელთანაც მიერთებულია ესა თუ ის ქვეყანა.[28]

[27] ა. მეტრეველი, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, (დის.,) საქართველოს უნივერსიტეტი,თბილისი 2015, გვ 13.
[28] იხ., იქვე.

2.1 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1948 წლის 10 დეკემბერს. ტექსტი შეიცავს საყოველთაობის პრინციპით განმტკიცებულ ადამიანის უფლებებს.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება იმ ფორმით, როგორადაც ის დღეს არის დამკვიდრებული, სამართლებრივ ჩამოყალიბებებს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იწყებს. დეკლარაციის მე-18 მუხლი აყალიბებს:

> „ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში, ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.“[29]

ნიშანდობლივია, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მსგავსი შინაარსით ყველა სხვა მომდევნო საერთაშორისო დოკუმენტში იქნა ასახული, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაშიც მოხდა მისი ასახვა.

მიუხედავად იმისა, რომ ადამინის უფლებათა დეკლარაციას აქვს უნივერსალურობის ხასიათი, იგი მხოლოდ მორალური გავლენის მქონე აქტად რჩება და რაიმე სახის სამართლებრივი ზემოქმედების საშუალებებს არ შეიცავს. დისკუსია იმის შესახებ, რომ დეკლარაციას სამართლებრივად სავალდებულო სახე შეეძინა, დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა განხილვის საგანს. აქტის ბუნებასთან დაკავშირებით ერთი ნაწილი მიიჩნევდა რომ, აქტი, რომელსაც სამართებრვი პასუხისმგებლობა არ გააჩნია, მის დარღვევასთან ან დაუცველობასთან ნულოვანი ეფექტურობის მქონეა, არაქმედითია. მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა , რომ სანამ დეკლარაციას აქვს ძალა იმისა, რომ მორალური გავლენა

[29] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი.18)

მოახდინოს, მისი ყოვლისშემცველობა გარანტირებული იქნება. დეკლარაციაზე სამართლებრივი მოქმედების ხასიათის მინიჭებით ის მოქმედებისთვის სავალდებულო ძალას მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის შეინარჩუნებს, რომლებიც მას აღიარებს. ამ საკითხთან დაკავირებით დავა 1966 წელს შეწყდა. მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დეკლარაციის სახით სხვადასხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები შეიმუშავა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით.[30]

2.2 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950წ)

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციამ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ვრცელი განმარტება მას შემდეგ გააკეთა, როდესაც გაერომ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაცია. მოგვიანებით კი ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს (1959 წელი) შექმნით რელიგიისა და რწმენის თვისუფლების დაცვის თვალსაზრისით ყველაზე მოქნილი სამართლებრივი ინსტრუმენტი შეიქმნა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვის თანამედროვე საშუალება, სასამართლო წარმოებას პრეცენდენტული სამართლის ფორმით ახორციელებს. სასამართლო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარდა, მათი მნიშვნელობის განმარტებასაც მოიცავს. შესაბამისად რელიგიის თავისუფლების კონვენციით გათვალისწინებულ შინაარს პრეცენდენტული სამართლის ფონზე განვიხილავთ,[31] რომელიც კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით ჩამოყალიბდა :

„1. ყველას აქვს უფლება აზრის ,სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა;

[30] ა. მეტრეველი, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, (დის.,) საქართველოს უნივერსიტეტი,თბილისი 2015, გვ 14.

[31] ა. მეტრეველი, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, (დის.,) საქართველოს უნივერსიტეტი,თბილისი 2015, გვ 32.

ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვით და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს , რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადებაში საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

კონვენციის მე-9 მუხლის ჩამოყალიბებაში თეზისურ განმარტებას გამოვიყენებთ.

„კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებულ თავისუფლებებს ორი, შინაგანი და გარეგანი ასპექტი აქვთ. „შინაგანი“ ასპექტით ეს არის აბსოლუტური თავისუფლება: ფუნდამენტური იდეები და მრწამსები, რომელიც ადამიანის სულიერ სიღრმეში წარმოიშვება, შეუძლებელია თავისთავად აყენებდეს ზიანს საზოგადოებრივ წესრიგს და შესაბამისად, არ შეიძლება სახელმწიფს ორგანოების მხრიდან შეზღუდვებს დაექვემდებარონ. მაშინ, როდესაც ეს თავისუფლება „გარეგანი“ ასპექტის ფარდობითია. ეს ფარდობითობა ლოგიკურია, რადგან რამდენადაც ეს საკუთარი რელიგიური მოსაზრებების აღმსარებლობის თავისუფლებაა, საზოგადოებრივი წესრიგი შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს.“[32]

რელიგიის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დათქმა შეეხება იმ ფაქტორს, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება არ იცავს ამ მიზეზით ნაკარნახევ ყველა ქმედებას. ამ უფლების შინაგანი მხარე, როგორც შეზღუდული უფლება, პირდაპირ კავშირშია ადამიანის შინაგან სამყაროსთან და

[32] რელიგიის თავისუფლების სფეროში პრაქტიკის მიმოხილვა. მეტრეველი, 2015.(გვ74-103 პარ.15)

არ ამართლებს მის ნებისმიერ საჯარო გამოვლინებას. ამდენად, ნებისმიერი ქმედება, რომელიც ნაკარნახევი იქნება რელიგიის ან რწმენის თვალსაზრისით, უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის კანონმდებლობას.[33]

სახელმწიფოს მხრიდან რელიგისა და რწმენის თავისუფლების გარკვეულ ჩარჩოში მოქცევა და შეზღუდვა საკმარისი პირობა არაა. იგი საჭიროებს ისეთი მეთოდების შემუშავებას, რომელიც დაადგენს კანონიერ მიზანთან მისაღწევი შეზღუდვის პროპორციულობას. ამგვარად, ყველა სახის შეზღუდვა თანაზომიერი უნდა იყოს დაცულ მიზანსა და სავარაუდო დარღვევას შორის.[34]

სახელმწიფოსა და რელიგიურ დაჯგუფებებს შორის ურთიერთობის მოდელები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დასაცავად სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ იმ მოდელს, რომელიც უნდა არსებობდეს ამ ორ ძალას შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად.[35]

2.3 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ(1966წ)

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის თანახმად თითოეულ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, რომელიც მოიცავს თავისუფლად ჰქონდეს ან იღებდეს რელიგიასა თუ მრწამსს საკუთარი თავისუფალი არჩევანით და თავისუფლად აღირებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს, როგორც ერთპიროვნულად , ისე სხვებთან ერთად, ეწეოდეს ღვთისმსახურებას და ასრულებდეს რელიგიურ თუ რიტუალურ წეს-ჩვეულებებს, როგორც საჯაროდ, ისე კერძო წესით. ამასთან, არავინ არ უნდა განიცდიდეს უძლურებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას იქონიოს ან მიიღოს რელიგია თუ მრწამსი საკუთარი არჩევანით. რელიგიასა თუ მრწამსის აღიარების თავისუფლებას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ის შეზღუდვები,

[33] ა. მეტრეველი, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, (დის.,) საქართველოს უნივერსიტეტი,თბილისი 2015, გვ 34.
[34] იხ., იქვე, გვ.34-35
[35]იხ., იქვე, გვ 36-37.

რომლებიც დადგენილია კანონით და საჭიროა საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის“.[36]

მნიშვნელოვანი განმარტებები გაკეთდა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით. განმარტების მიხედვით აღნიშნული უფლება დაიყო უფლებრივ და ვალდებულებით კატეგორიებად. რწმენის თავისუფლება, როგორც შინაგანი უფლება, მიეკუთვნება უფლებრივ კატეგორიას, ხოლო რწმენის გამოხატვის თავისუფლება, როგორც გარეგანი უფლება, მიეკუთვნება ვადებულებით კატეგორიას. რელიგიის თავისუფლება, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე რელიგიური მრწამსის ქონაში, არის შინაგანი უფლება, ატარებს აბსოლუტურ ხასიათს და დაუშვებელია მის წინააღმდეგ გამოყენებული იყოს რაიმე სახის შეზღუდვა. რაც შეეხება რელიგიის მრწამსის გარეგან უფლებას, იგი არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს და შესაძლებელია მის გამოვლინებას გარკვეული შეზღუდვები დაუწესდეს. შეზღუდვები კი შესაძლებელია გამოწვეული იყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნიდან და ა.შ.[37]

მე-18 მუხლთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შევეხოთ ოსლოს დეკლარაციას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ, რომელიც მიეძღვნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 50-ე წლისთავს. დეკლარაცია კვლავ ადასტურებს, რომ ყველა ადამიანს აქვს რელიგიისა და რწმენის თავისუფლება.

„კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს გამოწვევა , საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის, რელიგიისა თუ რწმენის შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის

[36] ა. მეტრეველი, რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, (დის.,) საქართველოს უნივერსიტეტი,თბილისი 2015, გვ 16-17.
[37] გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგის თავისუფლების შესახებ. 2015. გვ.35-38

ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის მიზნით საერთაშორისო კოალიციის შექმნისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების შესახებ“.[38]

შესაბამისად, ოსლოს კონფერენციის მონაწილენი:

„ვაღიარებთ,რომ რელიგია და რწმენა ასწავლიან მშვიდობასა და სიკეთეს;

ვაღიარებთ, რომ რელიგიები და რწმენები, შესაძლოა, ბოროტად იყოს გამოყენებულნი შეუწყნარებლობის, დისკრიმინაციისა და ცრურწმენების დასანერგად. ასევე სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების უარსაყოფად;

ვადასტურებთ, რომ ყველა ადამიას აკისრია პასუხისმგებლობა-ადამიანის ღირსებისა და მშვიდობის მხარდასაჭერად, დაგმოს რელიგიია, თუ რწმენის ნიშნით დისკრიმინაცია და შეუწყნარებლობა.

ვაღიარებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნას და ადამიანის უფლებათ საყოველთაო დეკლარაციის მიღებას, როგორც წყალგამყოფ მოვლენას, რომლის შემდეგაც მსოფლიო საზოგადოებრიობამ პირველად აღიარა, რომ ადამიანის უფლებები სცდება სუვერენულ სახელმწიფოთა კანონმდებლოების ფარგლებს;

ვადასტურებთ, რომ ადამიანის უფელებათა საყოველთაო დეკლარაციისა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლები სხვა ინსტრუმენტებთანდ ერთად ქმნიან რელიგიის, რწმენის თავისუფლების მანდატს და იმ სტანდარტებს, რომელთა გარშემოც გვსურს გაერთიანება.“[39]

---

[38] ზ. ვაშაყმაძე, ნ. გუდაძე და სხვ., რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. თბილისი,2020. გვ 33-34.

[39] ზ. ვაშაყმაძე, ნ. გუდაძე და სხვ., რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. თბილისი,2020. გვ 34.

თავი III. მართმადიდებლური ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა საკანონმდებლო კუთხის თვალსაზრისით მრავალფეროვნულია. ისტორიულმა ასპექტებმა, რეფორმებმა, საზღვრების ცვლილებებმა, ასევე წარსულში კომუნისტური რეჟიმის არსებობამ და სხვა მნიშვნელოვანმა და განსხვავებულმა გარემოებებმა დიდი გავლენა მოახდინა თითეული ქვეყნისათვის იმ მრავალფეროვანი და განსხვავებული სურათის შესაქმნელად, რომელიც აისახა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაზე.[40]

სახელმწიფოსა და რელიგებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთოები გვაძლევს სამი ტიპის სისტემას. ამ სისტემის მიხედვით პირველი არის ქვეყნები სახელმწიფო ეკლესების სისტემით, მეორე არის ეკლესისა და სახელმწიფოს მკვეთრი გამიჯვნის სისტემა და მესამე სისტემა არის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კავშირის, თანამშრომლობის სისტემა.

3.1 ქვეყნები სახელმწიფო ეკლესიის სისტემით

ამ სისტემის ქვეყნებს მიეკუთვნება დანია, ფინეთი,საბერძნეთი. ეკლესიის სისტემის ქვეყნებში მჭიდროდაა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ინსტიტუციური და საკანონმდებლო კავშირები.

3.1.1 დანია

დანიის კონსტიტუციის მიხედვით „ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია არის სახალხო ეკლესია და ამიტომაც იგი სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობს“. ტერმინი „სახალხო ეკლესია„ გულისხმობს, რომ დანიის მოსახლეობის უმრავლესობა ეკუთვნის ეკლესიას. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია მხარი დაუჭიროს ეკლესიას ეკონომიკურ, სამართლებრივ თუ პოლიტიკურ სფეროებში.

[40] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში გვ 3.

სახელმწიფოსა და სახალხო ეკლესიის ერთმანეთისაგან განცალკევება შეუძებელია კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გარეშე.[41]

დანიის ეკლესია არ წარმოადგენს კერძო გაერთიანებას, როგორც არის სხვა რელიგიური გაერთიანებები. იგი ექვემდებარება პარლამენტს და საეკლესიო საქმეთა მინისტრს. სახალხო ეკლესია სარგებლობს სახელმწიფო ორგანიზაციების მსგავსი სტატუსით. სამართლებრვი ნორმები, რომლითაც მისი საქმიანობა რეგულირდება, საჯარო სამართლის ნაწილია. სხვა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა კი შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართალს. ისინი კერძო და ავტონომიური დაწესებულებები არიან და იხდიან გადასახადებს. ამ მხრივ რელიგიურ გაერთიანებებს სახელმწიფო არ ანიჭებს რაიმე შეღავათებს.[42]

სახალხო ეკლესიის შემოსავალი დაახლოებით 4.5 მილიარდ კრონს აღწევს, აქედან 75%-ს გადასახადების სახით იხდიან ეკლესიის წევრები. სახელმწიფოს დოტაცია (შენაწირი) შეადგენს 12%-ს, ხოლო დანაჩენი 13% მოდის სხვადასხვა ფონდებიდან.[43]

საეკლესიო გადასახადების 60% გამოიყენება მღვდლებისა და დეკანოზების ხელფასების დასაფარად. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები ირიცხება საეკლესიო საქმეთა სამინისტროში, აგრეთვე გამოიყენება სამღვდელო პირების ხელფასებისა და პენსიების დასაფარად. დანარჩენი 40% გამოიყენება მრევლისა და ეპარქიების ადმინისტრირებისათვის, აგრეთვე ისტორიული ეკლესიებისა და საფლავების რესტავრაციისათვის. ყველა სახის შემოსავალი გროვდება ერთობლივ ფონდში, რომელსაც საეპარქიო მმართველობა განაგებს.[44]

---

[41] იხ., იქვე.

[42] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში, გვ 4.

[43] დ.შოვნაძე, სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების, სხვადასხვა შეღავათების და მათი ურთიერთობის ევროპულ მოდელი, 27.12.17 იხ.,https://dshonvadze.wordpress.com/ [28.04.20. 15:19].

[44] იხ., იქვე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დანიაში დაახლოებით 100 კერძო იურიდიული პირის სტატუსის მქონე ქრისტიანულ პრინციპებზე დაფუძნებული დამოუკიდებელი ორგანიზაციები არსებობს. ეს ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი ჰუმანიტარულ საქმიანობიაში როგორც დანიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასევე დანიაში მუშაობს თხუთმეტამდე უცხოური ასოციაცია, რომლებიც სახალხო ეკლესიასთან და დამოუკიდებელ რელიგიურ საზოგადოებებთან ერთად ქმნიან სხვადასხვა სახის სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებს. ასეთი ორგანიზაციები წარმოადგენენ დანის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ეს ორგანოები სამთავრობო ორგანოებთან მუშაობის შემთხვევაში სახელმწიფოსაგან ფულად დახმარებას იღებენ.[45]

3.1.2 ფინეთი

ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოებისაგან რადიკალურად განსხვავებული ურთიერთობა აქვს ფინეთის სახელმწიფოსა და ეკლესიას ერთმანეთთან. ფინეთის რესპუბლიკა არის ერთადერთი რესპუბლიკა ევროგაერთიანებაში, რომელსაც აქვს ორი, სახელმწიფო დონეზე აღიარებული ეკლესია. ერთ-ერთი ამ ეკლესიათაგანი არის მართმადიდებლური. ფინეთში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა ნელ-ნელა გათავისუფლდა ურთიერთგავლენისაგან ისე, რომ არ მომხდარა ამ ორ ძალას შორის ურთიერთობის სრული გამიჯვნა. ეს ყოველივე განაპირობა ისტორიულმა ფაქტორებმა, რომელიც გავლენას ახდენდა ფინეთის, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიებებაზე.[46]

1995 წელს ფინეთი გაერთიადა ევროპის კავშირში, რომლის პარალელურად დიდი გამოწვევების წინაშე დადგა ეროვნული კანონმდებლობის საკითხი. განხორციელდა კონსტიტუციის რეფორმები, რომლის მიხედვითაც შეიცვალა კონსტიტუცის ოთხ დოკუმენტიანი ტექსტი და ჩამოყალიბდა როგორც ერთი მთლიანი კონსტიტუციური ტექსტი. ფინეთის კონსტიტუცია 1999 წელს მიიღეს,

[45] დ.შოვნაძე ეკლესიის ირგვილ განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები, 13.02.2018 იხ., https://dshonvadze.wordpress.com/ [27.06.20 15.15]

[46] პ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვაიძე და სხვ., მართმადიდებელი ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, თბილისი 2016. გვ 81.

ძალაში კი 2000 წელს შევიდა. კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული პიროვნების თავისუფლებაზე. ცვლილებების შედეგად ნაკლებად თვალშისაცემი გახდა ლუთერანული ეკლესიის სტატუსი, მაგრამ ამის მიუხედავად მისი როლი არ დაუკარგავს. რა შეეხება ეკლესიასა და მის ავტონომიას, კვლავაც კონსტიტუციითა დაცული მისი განსაკუთრებულობა.[47]

ფინეთში მართმადიდებლური ეკლესია, როგორც ლუთერანული, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონეა. ეკლესიების შიდა საქმიანობის სტრუქტურა პარლამენტის მიერ მიღებული აქტებით რეგულირდება. ორივე ეკლესიას აქვს თავის სასამართლო სისტემა[48], რომელიც კვლავ ადასტურებს მათი საჯარო სამართლის ბუნებას. ლუთერანული ეკლესიის ავტონომია იმდენად ძლიერია, რომ საეკლესიო აქტში რაიმე ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით წინადადებები მხოლოდ ეკლესიას უნდა წაუყენონ. [49]

მართმადიდებლური ეკლესია ფინეთში სიდიდით მეორე ავტონომიური ეკლესიაა ლუთერანული ეკლესიის შემდეგ. მისი უფლებები ხორციელდება ფინეთის მთელ ტერიტორიაზე და ერთადერთი ქვეყანაა დასავლეთ ევროპის მართმადიდებელ ქვეყნებს შორის, რომელიც სარგებლობს გრიგორიანული კალენდრით. ასევე, ფინეთში 2007 წელს მიიღეს ახალი კანონი, რომლითაც რეგულირდება ურთიერთობა ფინეთის რესპუბლიკასა და მართმადიდებელ ეკლესიას შორის. ახალი კანონის მიხედვით შეუნარჩუნდა ეკლესიას სახელმწიფო სტატუსი, რომელიც რეგულირდება პარლამენტის აქტით, რომლითაც განისაზღვრა, რომ ეკლესიის მთავარი სინოდი უფლებამოსილი იქნებოდა ინიცირება გაეკეთებინა საეკლესიო კანონებისა და წესდებებისათვის. ეკლესიას

[47] პ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვაიძე და სხვ., მართმადიდებელი ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, თბილისი 2016, გვ.82.
[48] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში, გვ 6.
[49] პ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვაიძე და სხვ., მართმადიდებელი ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, თბილისი 2016. გვ 82.

მიენიჭა მეტი ავტონომია, შეიცვალა ეკლესიის ხარჯებთან დაკავშირებით დებულებები.[50]

მართმადიდებელ ეკლესიას, ისევე როგორ ლუთერანულს, უფლება აქვს საკუთარი წევრებისაგან აკრიფოს გადასახადები სახელმწიფო გადასახადებთან ერთად. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, ისინი ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ ეკლესიების დაფინანსებაში საშემოსავლო გადასახადების გზით, რომლის გარკვეული ნაწილი ამ ეკლესიებისაკენ არის მიმართული.[51]

ლუთერანული ეკლესია, მართმადიდებელი ეკლესია და რელიგიური გაერთიანებები გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადებისაგან.[52]

3.1.3 საბერძნეთი

საბერძნეთის კონსტიტუციის თანახმად, „საბერძნეთში გაბატონებული რელიგია აღმოსავლური მართმადიდებელი ქრისტიანული რელიგიაა“. მართმადიდებელი ეკლესიის დომინანტური სტატუსი ისტორიულ სახეს ატარებს საბერძნეთში.[53]

საბერძნეთის კონსტიტუციის რამდენიმე მუხლი ეხება უპირატესი რელიგიის განსაკუთრებულობას. ქვეყნის მთავარი კანონის მიხედვით მართმადიდებლური რელიგია არის სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია. ეკლესიას აქვს თავისი სამართლებრივი სტატუსი და ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს მართმადიდებლური რელიგიის მიმართ აქვს უპირატესი დამოკიდებულება, რომლის მსგავსი არ ვრცელდება სხვა არცერთ რელიგიაზე.[54]

საბერძნეთში მხოლოდ აღმოსავლურ მართმადიდებელ ეკლესიას აქვს კონსტიტუციით განმტკიცებული „უპირატესი“ სტატუსი. შესაბამისად, როგორც

---

[50] პ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვაიძე და სხვ., მართმადიდებელი ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, თბილისი 2016. გვ 82.

[51] დ.შოვნაძე, სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების, სხვადასხვა შეღავათების და მათი ურთიერთობის ევროპულ მოდელი, 27.12.17 იხ.,https://dshonvadze.wordpress.com/ [03.05.20. 12:57]

[52] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში გვ 6.

[53] პ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვაიძე და სხვ., მართმადიდებელი ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, თბილისი 2016, გვ 69.

[54] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში, გვ 9.

უკვე ვახსენეთ იგი საბერძნეთში საჯარო სამართლის იურიდიული პირია. რაც შეეხება დანარჩენ რელიგიურ ორგანიზაციებს თუ გაერთიანებებს, მათი სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც ისინი აღიარებულნი არიან როგორც ასოციაციები, რადგან არცერთი კანონი არ აღიარებთ მათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.[55]

შვიდი საეკლესიო კრების, ადგილობრივი სინოდებისა და ეკლესიის მიერ განსაზღვრული ყველა წმინდა კანონი დაკანონებულია კონსტიტუციით. მიუხედავად იმისა, თუ რას ეხება იგი. ამრიგად საბერძნეთის სახელმწიფოს მიერ ძალაში შესული ყველა კანონმდებლობა, მიუხედავად თავისი მიზნისა, არაკონსტიტუციურია, თუ იგი ეწინააღმდეგება წმინდა კანონს.[56]

საბერძნეთში არ არის საეკლესიო გადასახადი. თითოეულ რელიგიას აქვს თავისი შემოსავალი წევრთა შემოწირულობიდან. სახელმწიფოს კი თავის თავზე აქვს აღებული უპირტესი რელიგიის დაფინანსება, რაც სხვადასხვა ფორმით ხორციელდება: სუბსიდირების სახით, გრანტების სახით. სახელმწიფო ასევე იხდის მღვდლების ხელფასებსა და პენსიებს. ეკლესიას ასევე აქვს შეღავათები უძრავი ქონების გადასახადებთან დაკავშირებით.[57]

3.2 სახელმწიფოსა და ეკლესიის მკვეთრი გამიჯვნის პრინციპი

სახელმწიფოსა და ეკლესიის მკვეთრი გამიჯვნის პრინციპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მათი სრულად განცალკევებულობა ერთმანეთისაგან. ამ

[55] პ. გაჩეჩილაძე, დ. ჩიკვაიძე და სხვ., მართმადიდებელი ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, თბილისი 2016, გვ 73.
[56] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში გვ 10.
[57] დ.შოვნაძე, სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების, სხვადასხვა შეღავათების და მათი ურთიერთობის ევროპულ მოდელი, 27.12.17 იხ., https://dshonvadze.wordpress.com/ [03:05:20 13:05].

პრინციპის ქვეყნები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, არის ნიდერლანდები და საფრანგეთი.

3.2.1 ნიდერლანდები

ნიდერლანდების სახელმწიფო იმ ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებშიც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მკვეთრი გამჯვნის პრინციპი მოქმედეს.

ნიდერლანდებში ეკლესია საჯარო სამართლის იურიდიულ პირია. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი, ის წარმოადგენს განსაკუთრებულ სახეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირისა, რომელიც განსხვავდება სხვა იურიდიული პირების სტატუსისგან. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი ეკლესიები იმ დადგენილებას ემორჩილებიაან, ანუ იმ ფარგლებში ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანომდებლობას.[58]

მნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფოსგან ეკლესიის დახმარების ოფიციალური სახე არ არსებობს, მაგრამ ფინანსურ დახმარებას ეკლესია მაინც იღებს სახელმწიფოდან სხვადასხვა ფორმის საშუალებით. ფინანსურ დახმარებას უწევენ საეკლესიო წარმომადგენლებს რელიგიური სამსახურისთვის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციები, როგორიცაა: შეიარაღებული ძალები და სასჯელაღსრულების დაწესებულება. ეკლესიები ასევე იღებენ სახელმწიფოსგან სუბსიდიებს ძველი საეკლესიო ძეგლების მოვლასა და აღდგენაში.[59]

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მკვეთრი გამიჯვნის პრინციპის ქვეყნებისთვის, როგორც უკვე ვახსენეთ, დამახასიათებელია დიდი დისტანცია. სწორედ ამ პრინციპის მიხედვით ეკლესია წარმოადგენს დამოუკიდებელ წარმონაქმნს, რომლის ფინანსური დახმარება სახელმწიფოს მხრიდან არ არის გაწერილი კანონმდებლობით. სახელმწიფოს მხრიდან ხდება გარკვეული სახის ფინანსური დახმარებები, მაგრამ ეს დახმარებები არ არის იმდენი, რამდენიც არის ეკლესიის სისტემის ქვეყნებში.

---

[58]იხ., იქვე, გვ 11.
[59] იხ.,იქვე, გვ 12.

3.2.2 საფრანგეთი

საფრანგეთი დემოკრატიული, სოციალური და სეკულარული სახელმწიფოა. იგი უსრუნველყოს კანონის წინაშე თანასწორობას, რომელიც პატივს სცემს რელიგიურ შეხედულებებსა და მრწამსს.[60]

რელიგიის შესახებ კანონი, რომელიც 1905 წელს მიიღეს საფრანგეთში, ყურადღებას ამახვილებს პრინციპზე, რომლის მიხედვითაც რელიგიის თავისუფლება დასაშვებია მისი აღარებისა და სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების გარეშე.[61]

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში არ არის აღიარებული ეკლესიის პრინციპი, ეკლესიისა და სხვადასხვა რელიგური გაერთიანებების მიმართ გამოიყენება სპეციალური სახის წესები. ეს წესები არ გამომდინარეობს იმ სტატუსიდან, რომელიც აქვს მინიჭებული ეკლესიას, არამედ ეს არის ისეთი სამართლებრივი წესები, რომელებიც გამოიყენება სხვა ჯგუფებთან თუ ინსტიტუტებთან.[62]

საფრანგეთში ეკლესიას, საუკუნეების განმავლობაში გააჩნდა მნიშვნელოვანი ქონება, რომელიც წარმოადგენდა ეკლესიის შემოსავლის წყაროს. მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ანსაბლეამ მიიღო გადაწვეტილება, დეკრეტი (1789წ.), რომლის შესაბამისად ეკლესიას ჩამოერთვა ქონება, რათა სახელმწიფოს შეევსო ხაზინის დეფიციტი ქონების რეალიზაციის შედეგად.[63]

1905 წლის კანონის მიხედვით სახელმწიფომ შეწყვიტა ეკლესიის დაფინანსება, რომლის შედეგადაც ეკლესიას დარჩა დაფინანსების ორი წყარო: პირველი, ეს არის კერძო დაფინანსება და მეორე, სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება არაპირდაპირი გზით, მაგრამ ეს არ წარმოადგენს სუბსიდირებას. საფრანგეთის ეკლესიებმა თავად

---

[60] Religion-State Relations., იხ., https://www.idea.int/sites/default/files/publications/religion-state-relations-primer.pdf [03.07.20 18.30]

[61] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში გვ 13.

[62] იხ., იქვე, გვ 11.

[63] დ.შოვნაძე, სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების, სხვადასხვა შეღავათების და მათი ურთიერთობის ევროპულ მოდელი, 27.12.17 იხ.,https://dshonvadze.wordpress.com/ [03.05.20 13:14].

უნდა მოიფიქრონ და გადაწყვიტონ, თუ რა გზით იშოვონ სახსრები და რაში გამოიყენონ ისინი. ამ მხრივ კი ეკლესიის მეთოდები განსხვავებულია.[64]

საფრანგეთში მორწმუნეები წარმოადგენენ ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც შეიძლება იყოს ეკლესიის ქონების არსებობის წყარო. კათოლიკურ ეკლესიებში მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მორწმუნეთა მიერ გაღებული საჩუქრები. საჩუქრის კატეგორიას განეკუთვნება როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონება, რომლის შემდგომი განკარგვა ხდება ეკლესიის მიერ.[65]

3.3 სახელმწიფოსა და ეკლესიის მჭიდრო თანამშრომლობის სისტემა

ამ სისტემის ქვეყნებისათვის დამახაიათებელია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თანამშრომლობა გარკვეულ ფარგლებში. ისინი ერთმანეთს ემიჯნებიან, მაგრამ ხშირად თანამშრომლობენ სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით.[66] ამ სისტემის ქვეყნებს, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, მიეკუთვნება ესპანეთი და იტალია.

3.3.1 ესპანეთი

ესპანეთის კონსტიტუციით აღიარებულია რწენის თავისუფლება, როგორც ფუნდამენტალური უფლება, რომლის ფარგლებში ადამიანებს აქვთ რწმენის გამოხატვის თავისუფლება რომელთა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი აუცილებლობიდან.[67]

რაც შეეხება სახელმწიოფასა და ეკლესიას შორის ურთიერთობას იგი არ ჰგავს არც ამ ორ ძალას შორის ურთიერთობის სისტემას და არც გაყოფის მოდელს.

---

[64] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში გვ 13.
[65] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში გვ 13.

[66]დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ,70.
[67] Z. Combilia, M.Roca ., Religion and the Secular State of Spane, იხ., https://original.religlaw.org/content/blurb/files/Spain.2a.pdf (03.07.20 17:30)

ვატიკანთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც საერთო ჯამში კონკორდატს ქმნის, განსაზღვრავს, თუ რა ადგილი უჭირავს სამართლებრივი თვალსაზრისით კათოლიკურ ეკლესიას ქვეყანაში.[68]

კათოლიკური ეკლესის სამართლებრივი მდგომარეობა და საქმიანობა რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებების მეშვეობით. შესაბამისად, იგი არ არის რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროს მიერ. ხოლო ვატიკანი, რომელიც საერთაშორისო სამართლის სტატუსით სარგებლობს, ქვეყნის შიგნით ურთიერთობებში სასურველი ფორმით მოქმედებს, რომელიც არ სცდება კერძო სამართლის ფარგლებს.[69]

ესპანეთის კანონმდებლობა სხვადასხვა ჯგუფის რელიგიურ გაერთიანებებს ან ისეთ რელიგიურ ჯგუფებს, რომლებიც უმცირესობას მიეკუთვნებიან, არ ანიჭებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს. დაურეგისტრირებელი რელიგიური გაერთიანებები კი ხვდებიან საერთო სამართლის პრინციპების ზემოქმედების ქვეშ. ესპანეთში არ არსებობს რაიმე სახის პრივილეგია რწმენის ან რელიგიის თვალსაზრისით.[70]

აგრეთვე, კათოლიკური ეკლესია ერთადერთია, რომელიც სახელმწიფოსგან პირდაპირ იღებს დაფინანსებას.[71]

3.3.2 იტალია

იტალიის სახელმწიფოში საეკლესიო დებულებები ასახულია კონსტიტუციაში, რომელიც განსაკურებულ ყურადღებას აქცევს რელიგიის თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურ ასევე კოლექტიურს უფლებას და ისახავს ამ უფლების დაცვას.[72]

---

[68] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში, გვ 17.
[69] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში, გვ 17.
[70] იხ., იქვე, გვ 15.
[71] დ.შოვნაძე, სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების, სხვადასხვა შეღავათების და მათი ურთიერთობის ევროპულ მოდელი, 27.12.17 იხ., https://dshonvadze.wordpress.com/ [03.05.20 14:07].
[72] E.Ervas., The Agreement Beetwen Church and State: The Italian Perspective, 2017, იხ., https://digitalcommons.law.byu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3110&context=lawreview (03.07.20 16:30)

იტალიის კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით, „ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი რწმენა ყველა შესაძლო ფორმით: ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად ხელი შეუწყოს მას და განახორციელოს აღმსარებლობა საჯაროდ ან განმარტოებით, იმ პირობით, რომ ეს რიტუალი არ შეურაცხყოფს საზოგადოებაში მიღებულ წესებს“.[73]

საეკლესიო სამართალის სამსაფეხურიანი სისტემაა იტალიაში. სისტემის მნიშვნელოვანი ადგილი კათოლიკურ ეკლესიას უკავია. შუალედური პოზიცია ამ სისტემაში იმ რელიგიურ ჯგუფებსა თუ გაერთიანებებს უკავია, რომლებიც დიდიხანია არსებობს იტალიაში. მაგალითად: პროტენსტანტები და ებრაელები. ბოლო საფეხურზე კი დგას მუსულმანური რელიგიის მიმდევრები, რომლების იტალიაში არც ისე დიდი ხსნის წინ დასახლდნენ. რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიებისა და სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების დაფინანსება გამორიცხავს იაღოველებისა და მუსულმანების დაფინანსებას.[74]

იტალიაში საუკუნეების განმავლობში ხორციელდებოდა საეკლესიო პირების ანაზღაურების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან. ეს გადასახადები ხორციელდებოდა ე.წ ბენეფიციუმის მეშვეობით. წყალობით, რომლითაც სახელმწიფო ეკლესიას უზრუნველყოფთა. იგი მოიცავდა საკუთრებას გარკვეული რაოდენობით, რომელიც დაკავშირებულ იყო საეკლესიო პირის თანამდებობასთან. ამით სასულიერო პირებს თავად შეეძლოთ ბენეფიციიდან მიღებული შემოსავლის განკარგვა.[75]

სახელმწიფოს მხრიდან წყალობის ასეთი ფორმით გაღებამ გამოიწვია განსხვავება ბენეფიციის მფლობელებს შორის, რადგან როგორც უკვე ვახსენეთ, წყალობის სახით გაღებული საკუთრების რაოდენობა დამოკიდებული იყო

[73]კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში, გვ 16.

[74] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში, გვ 18.

[75] დ.შოვნაძე, სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების, სხვადასხვა შეღავათების და მათი ურთიერთობის ევროპულ მოდელი, 27.12.17 იხ.,https://dshonvadze.wordpress.com/ [03.05.20 13:43].

სასულიერო პირის თანამდებობაზე. ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან ასეთ შემთხვევებში ხდებოდა დამატებით თანხების გაღება საეკლესიო პირებისათვის. რადგან ეს თანხა ბიუჯეტის ნაწილს შეადგენდა, რომელიც იმ გადასახადებისგან შედგება, რომელსაც მოსახლეობა იხდის, გამოდის, რომ მოსახლეობა ავტომატურად აკეთებდა შენაწირს ეკლესიისათვის.[76]

1984 წელს იტალიის კონსტიტუციის მე-7 მუხლის შესაბამისად გაფორმდა ვილა მადამას ხელშეკრულება, რომელსაც შემდგომში მოჰყვა სხვა ხელშეკრულებების გაფორმებაც, რომლებიც ეხება ეკლესიის ქონებას, რელიგიის სწავლებას სკოლებში და სხვა.[77]

[76] იხ., იქვე.
[77] კავშირი „21-ე საუკუნე“, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში, გვ 18.

თავი IV. ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოში

4.1 ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში

ქრისტიანობა იმ სამ რელიგას (ქრისტიანობა, ბუდიზმი და ისლამი) შორის ერთ-ერთია, რომელიც გაბატონებულია მსოფლიოში. ქრისტიანობა წარმოიშვა ახ.წ I საუკუნეში, რომის იმპერიის ფარგლებში.[78]

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება I საუკუნეში მოხდა და მისი მქადაგებლები იესო ქრისტეს მოწაფეები ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი იყო.[79] შემდგომი ქრისტიანობის გავრცელება და ქართლის გაქრისტიანება კი წმინდა ნინოს სახელთან არის დაკავშირებული.[80]

მიღებულია, რომ ქართლში ქრისტიანობა IV საუკუნის 30-იან წლებში გამოცხადდა, მაგრამ ზუსტ თარიღთან დაკავშირებით საერთო მოსაზრება არ არსებობს. ქართული ეკლესია ამ თარიღად 326 წელს მიიჩნევს.[81] რომაელი ისტორიკოსი სოზომენე მიიჩნევს, რომ ეს უკავშირდება ნიკეის პირველ საეკლესიო კრებას (325 წელი), ივანე ჯავახიშვილი კი კვლევების შედეგად ამ თარიღს მიიჩნევდა 337 წელს, როდესაც კონსტანტინე დიდი გარდაიცვალა.[82]

---

[78] ქრისტიანობის წარმოშობა, იხ.,https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90?fbclid=IwAR3g4OT7H89Vgn5LWBQwDhpwS1QG2APLVEmA4jTipHByXgATguvXA9yE-Qw [03.05.20. 19:01].

[79] რ.სარიშვილი, ქრისტიანობა საქართველოში, იხ., http://icode.ge/ [03.05.20. 19:17].

[80] საქართველო IV საუკუნეში, იხ.,https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98 [03.05.20. 19:13].

[81]დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016. გვ 87.

[82] ქართლის გაქრისტიანება, იხ., https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ქვეყნის განვითარებაში. რწმენა დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე. მართალია ქრისტიანული რელიგია პირველი საუკუნიდანვე არსებობდა საქართველოში, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება იყო, რადგან ის აახლოებდა და აკავშირებდა ხალხს, რამაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.[83]

4.2 საეკლესიო რეფორმები საქართველოში

4.2.1 ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა

ისტორიკოსების მიერ ჩვენამდე მოტანილი წყაროებით დგინდება, რომ პირველი საეკლესიო რეფორმა ვახტანგ გორგასალმა გაატარა, რომლის მეშვეობითაც გამყარდა ქვეყნის შინაგანი სტაბილურობა.[84] სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გარდამტეხი ეტაპი სწორედ ვახტანგის მეფობის დროს, V საუკუნეში დადგა. საკლესიო რეფორმის გატარება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაპირისპირების ნიადაგზე განხორციელდა, რომელიც მეფესა და მთავარეპისკოპოს შორის წარმოიშვა. დაპირისპირება დასრულდა ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებით და ცვლილებებით, რომელიც უმაღლეს სასულიერო პირთა იერარქიას ეხებოდა.[85] გორგასალმა ამ რეფორმების გატარების შედეგად შექმნა 12 საეპისკოპოსო და ქრისტიანული ავტოკეფალიური ეკლესიის მეთაურად

%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98 [03.05.20 19:52].

[83]ქართლის გაქრისტიანება, იხ., https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98 [03.05.20 19:52].

[84] ი.აბულაძე, ეკლესიის რეფორმატორი ქართველი მეფეები, 10.03.2017, იხ., http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=5&id_artc=33872&fbclid=IwAR2b5u22twGmurl1mTEA3Nb7bRcK_7Cv-4op0YdZbXjr8iUBYAo2IUBFkcc [03.05.20 23:17]

[85] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016. გვ,88.

დანიშნა ეპისკოპოსი. ეპისკოპოსობა მიჩნეულია საქართველოს ეკლესიის ავტკეფალიის მოპოვების ფაქტად.[86]

4.2.2 დავით IV აღმაშენებლის რეფორმები

მეფე დავითმა გადაწყვიტა საეკლესიო რეფორმები გაეტარებინა. სწორედ ამიტომ 1104 წელს მოიწვია კრება, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით არის ცნობილი.[87] კრების მოწვევა მიუთითებდა იმას, რომ ეკლესია მეფის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მეფისათვის ეს საკმარისი არ იყო და სურდა, რომ ეკლესია სახელმწიფოსათვის დაექვემდებარებინა.[88] კრების მიზანი იყო ეკლესიისა და სამღვდელოების საკითხის გადაწყვეტა. რადგან დავითს მიაჩნდა, რომ ეკლესიაში გამრავლებული იყო ცოდვა და ეკლესიის მსახურთა უმრავლესობა ეწეოდა ეკლესიისათვის მიუღებელ საქმიანობას.[89] კრებაზე მიღებული აქტი ძეგლისწერის სახელით არის ცნობილი, რომლის პირველივე მუხლი ეხება საეკლესიო პირებს. ძეგლისწერის პირველი მუხლი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

> „პირველ რიგში განკვეთეთ და მღვდელობის პატივი ჩამოვართვით ისეთ ეპისკოპოსებს, რომლებიც ღირსეულად ვერ ატარებენ მღვდელმთავრობის პატივს და უღირსნი არიან პირველი მწყემსმთავრის ქრისტესი, რადგან სიწმინდის შეხება არასიწმინდისგან არ შეიძლება. ღმერთის ახლოს მყოფი - ცეცხლის ახლოს მყოფია, და აუცილებელია, რომ სუფთა ოქრო იყოს. ასეთნი

---

[86] ვახტანგ I გორგასალი, იხ., https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92_I_%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR2as_vlpgmJ7sXoBFl7l2xIePn0_PPGykp8V17ayrsKrXRQ30E1zyrQP0g [04.05.20 00:04სთ]

[87] კ.ჯავახიშვილი, საეკლესიო რეფორმა, იხ., https://kakhajavakhishvili.wordpress.com/2015/02/21/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90/ [04.05.20 12:17].

[88] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016. გვ,91.

[89] დ.ჩიკვაიძე, საეკლესიო სამართლის საკითხები, იხ., http://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/3-6-7.htm?fbclid=IwAR0qHSlRw95d10ISgGFReTtRPwzgp1CwfHDFq5W2LVr4JEwDLuO2a87P6Tw [04.05.20 12:35].

არ შეგვკრავს, არც შეგვიჩვენებია, ღმერთმა ნუ ქნას! არამედ უბრალოდ ერისკაცებთან ზიარების უფლება მივეცით, თუ ამიერიდან სიწმინდეს შეინახავენ. მათ ნაცვლად დავადგინეთ სხვები, ასაკითაც და საქმითაც სარწმუნონი, რომლებმაც კეთილად გამოიწრთეს ხორცი და დაუმორჩილე სულს“.[90]

დავით აღმაშენებელს კრების მოწვევთ სურდა გაეძლიერებინა სამეფო ტახტის გავლენა, ხოლო ფეოდალური ძალა, რომელსაც მხარს ეკლესიის წარმომადგენლებიც უჭერდნენ, დაესუსტებინა.[91]

საეკლესიო რეფორმის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობდა, რომ საეპისკოპოსო თანამდებობები მემკვიდრეობით კი არ უნდა გადასულიყო დიდგვაროვან აზნაურებზე, არამედ ამ თანამდებობებისთვის სასულიერო პირების არჩევა მათი ღირსების მიხედვით უნდა მომხდარიყო.[92]

ამრიგად, კრების მოწვევისა და გატარებული რეფორმების შედეგად დავით აღმაშენებელმა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მმართველობითი კავშირი დაამყარა და ეკლესია ამ უკანასკნელს დაუქვემდებარა. რაც შეეხება საეკლესიო პირებად ანუ მღვდელთმთავრებად განამწესა თავისი მომხრე პირები, რითაც ფეოდალებს სამეფო კარის წინააღმდეგ ის მხარდაჭერა მოუსპო, რომელსაც სამღვდელო პირებისაგან იღებდნენ. ამ ყველაფერმა კი საბოლოო ჯამში ქვეყნის

---

[90] მ. დოლაქიძე, გ. ნინუა, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა , თბილის 2009, იხ.,http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=307&fbclid=IwAR0QgyUyr962cEQRrUQhNme3OwiPdR9KqaOwTFr5ZOy1pCuGcbxUnzleXEc (04.05.20 14:16 სთ)

[91]რუის-ურბნინის ძეგლისწერა, იხ., https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90?fbclid=IwAR3ilcds8CrTYfyhrhDvG25tii1UGteB6qgV-BKBM0R9o2EgRRXt9yK5jhI [04.05.20 13:55].

[92] კ. კავახიშვილი, საეკლესიო რეფორმა, იხ., https://kakhajavakhishvili.wordpress.com/2015/02/21/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90/ [04.05.20 13:12].

გაძლიერება გამოიწვია, ხალხის თვალში კი მეფის მმართველობამ უფრო დიდი და პატივსაცემი მნიშვნელობა შეიძინა.[93]

4.2.3 ვახტანგ VI სამართლის წიგნი.

საქართველოში სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი ვახტანგ VI-ს მიუძღვის, რისთვისაც სჯულმდებელსაც კი უწოდებდნენ. მან დიდი შრომა გასწია და მრავალმხრივი ღონისძიებების გატარების შედეგად შექმნა სამართლის წიგნთა კრებული[94]. ეს კრებული შედგება შვიდი საკანონმდებო ძეგლისაგან (სამართალი მოსესი, სამართალი ბერძნული, სამართალი სომხური, სამართალი კათალიკოსთა, სამართალი მეფე გიორგისა, სამართალი აღბუღასი, სამართალი ბატონივილი ვახტანგისა). უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძეგლები იმდენად არის გადამუშავებული და შესაბამისობაში მოყვანილი იმ დროინდელ ქართულ რეალობასთან, რომ ისინი ამ ძეგლების ქართულ ვერსიად უნდა ჩაითვალოს.[95] კრებულში შესული ძეგლებიდან ჩვენი თემისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის „კათალიკოსთა სამართალი", რომლის მთავარ წყაროს სჯულის კანონი წარმოადგენს. მის შექმნაში მონაწილეობას იღებდა კათალიკოს-პატრიარქი მიქაელი. „კათალიკოსთა სამართალი" შედგება მუხლებისაგან, რომელთა უმრავლესობა ეხება ეპისკოპოსების, მღვდელმთავრების და სხვა საეკლესიო პირების უფლებებსა და ვალდებულებებს თავიანთი თანამდებობის გათვალისწინების მიხედვით.[96]

---

[93] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ 92.

[94] ვახტანგის სამართალი, იხ., https://vakhtangvi.blogspot.com/p/blog-page_4981.html?m=1&fbclid=IwAR0ysN4x4X6qi3CpoZtFMKzN3dnKbN31jxoNk350IyDFbplqCa0ENDenoOE [04.05.20 18:15].

[95] ქართული სამართლის ძეგლები ტომი I ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული თბილისი-1963.

[96] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, იხ., https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98 [04.05.20 20:00].

რაც შეეხება „სამართალი ბატონიშვილ ვახტანგისა," ძირითადათ ქართული ჩვეულებითი წყაროებისაგან შედგება. მისი შედგენა გამოიწვია იმ დიდმა ცვლილებებმა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფომ და საზოგადოებამ განიცადა. ვახტანგის სამართალი მოქმედებდა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ყველა სამეფოსა და სამთავრობოში,. ასევე, მისი ნორმები სამოქალაქო ურთიერთობის ფარგლებში მოქმედებდა რუსეთთან შეერთების შემდეგაც (1859-1870 წწ).[97]

4.3 ქართული ეკლესია საბჭოთა ბატონობის პერიოდში

რუსეთის დაინტერესება ქართული მართმადიდებელი ეკლესიის მიმართ ასახულია გეორგიევსკის ტრაქტატის[98] მერვე მუხლში, რომლის მიხედვით, საქართველოს კათალიკოსი ანტონ I რუსეთის სინოდის წევრად ცხადდებოდა. ამით კი ირღვეოდა საეკლესიო სამართალი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური სხვა სინოდის წევრი ყოფილიყო. 1811 წელს კი რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქარველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მასთან ერთად კათალოკოს პატრიარქის ინსტიტუტიც.[99]

საბჭოთა კავშირში მართმადიდებლურ ეკლესიას, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ რელიგიურ ჯგუფებს თუ გაერთიანებებს ეკრძალებოდათ ჰქონოდათ

---

[97] სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა, იხ., https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98 [04.05.20 19:00].

[98] 1783 წელს რუსეთის სახელმწიფოსა და გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი რუსეთს მფარველობის ქვეშ გადადიოდა.

[99] მ. ბასილაძე, გაუქმებული მართმადიდებლობა და რუსული მართმადიდებლური ექსპანსია,25.03.2017, იხ.,http://qronikaplus.ge/?p=11949&fbclid=IwAR0AYDpDt46zbAwqM3sM6DNCazzvXRbLepcIWEK5zIsY68MVcYBklCHuGYk [08.05.20 13:14].

საკუთრებაში არსებული ქონება. ისინი ასევე არ სარგებლობდნენ იურიდიული პირის სტატუსის ქონის უფლებით. ეკლესიის დევნა საბჭოთა კავშირში ხდებოდა არა მარტო ფაქტობრივად, არამედ ფორმალურადაც.[100]

საბჭოთა იდეოლოგია ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ თავისუფალ აზრს, რელიგიას, როგორც ქრისტიანობას, ასევე სხვა რელიგიურ გაერთიანებებს. იდევნებოდნენ მორწმუნეები, სასულიერო პირები. ხდებოდა ეკლესია-მონასტრების დაკეტვა, განადგურება.[101] ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეკლესიები რუსული კანონებითა და ადათ-წესებით იმართებოდა. ღვთისმსახურება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რომლის მიზანი ქართული ეკლესიის რუსული ეკლესიით ჩანაცვლება იყო.[102]

დიდი ბრძოლის შემდეგ, 1917 წელს საქართვლოს ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა. 1990 წელს კი მსოფლიოს საპატრიარქომ და კონსტანტინოპოლის წმინდა სინოდმა ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა.[103]

4.4 სახელმწიფოსა დე ეკლესიის ურთიერთობა ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ

ეკლესია ხშირად ყოფილა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სახემწიფოებრივი გარდაქმნებისა. საბჭოთა ბატონობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პარალელურად ცვლილებები ხდებოდა ეკლესიაშიც. სახელმწიფოს მხრიდან მოხდა ისტორიული და საეკლესიო დღესასწაულების აღდგენა. 1995 წლის კონსტიტუციით კი რელიგიის თავისუფლების პრინციპი იქნა

---

[100] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ,104.

[101] გ. გველესიანი, საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა საქართველოში , 31.05.19, იხ., https://www.palamacentre.com/ [09.05.20 13:05].

[102] მღვდელმონაზონი ანდრია (სირია), საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1921-1927 წლებში, (დის.,) საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი 2019, გვ 19.

[103]საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიაა- „ერთმორწმუნის" გაძარცვული ტაძრები და წართმეული სახელმწიფოებრიობა, 03.25.17., იხ.,https://www.newposts.ge/?l=G [09.05.20 14:16].

აღიარებული, რომლის შემდეგ სახელმწიფოსა და ქართულ ეკლესიას შორის ურთიერთობის სეკულარული მოდელი ჩამოყალიბდა.[104]

მართმადიდებლობა საქართველოში არ იყო მარტო რელიგიური მრწამსის გამოხატვის საშუალება, არამედ იგი მოიაზრებოდა როგორც ეროვნული იდენტობის ნაწილი. სეკულარული მოდელი კი სრულიად უცხო იყო როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე ეკლესიისთვისაც.[105] სეკულარიზმის უმთავრესი პრინციპი იმაშია, რომ ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამოყოფილია. ეს არის სისტემა, როდესაც რელიგიის გამოცალკავება ხდება საჯარო სფეროდან. კალჰუნის[106] აზრით სეკულარიზმი არის ერთგვარი იდეოლოგია, რომელსაც რელიგიისადმი გარკვეული კონსტიტუციური მიდგომა ახასიათებს და ჩვენ ამ იდეოლოგიის არსი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სეკულარიზაცია არის რელიგიის უარყოფის გამომწვევი მიზეზი.[107] პირიქით, საქართველოს კონსტიტუცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიის თავისუფლებას და ამ უფლებასთან დაკავშირებულ ნორმას კონსტიტუციის მეორე თავში აქცევს.[108]

„რელიგიის თავისუფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი. რელიგიის თავისუფლება ორი ელემენტისაგან შედგება - რწმენა და აღმსარებლობა. რწმენა ადამიანის შინაგანი მრწამსია, შეხედულება რაიმეს ჭეშმარიტება-მცდარობის შესახბ, რომელიც შესაბამისი არგუმენტითაცაა გამყარებული. რაც შეეხება აღმსარებლობას, იგი რწმენის გაცხადებასთან, გამოხატვასთანაა დაჯავშირებული“.[109] კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიხედვით ყველა ადამიანს აქვს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. მიუხედავად ამისა „კონსტიტუცია უშვებს რელიგიის

---

[104]დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ, 106.

[105] იხ.,იქვე.

[106] ქრეგ კალჰუნი- სოციოლოგიის პროფესორი.

[107] საქართველო და სეკულარიზმი: მოდერნული იდეა ტრადიციულ საზოგადოებაში, 26.07.17, იხ.,http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=171557&fbclid=IwAR0_r6lspuxOXYOqHayF0ECBYWkAA2xjT2M-jQCs0X7CwE2fviJFHx5TOP4 [12.05.20 14:22].

[108]დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ, 108.

[109] იხ., იქვე.

თავისულების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა ერთი მთავარი პირობით. მისი რეალიზაცია, ამ შემთხვევაში აღმსარებლობის ძირითადი უფლების გამოვლინება, სხვათა უფლებებს უნდა ლახავდეს. მხოლოდ სხვების უფლებების დაცვა შეიძლება იყოს ის ერთადერთი ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომელიც რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას გაამართლებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა უნდა იყოს შესაბამისი და თანაზომიერი".[110]

მართმადიდებლური ეკლესიისთვისაც, ისევე როგორს სახელმწიფოსთვის, უმნიშვნელოვანესია რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, ამიტომ ქრისტიანული ეკლესია სახელმწიფოსთან ერთად აღმსარელობის თავისუფლებას დიდი სიფრთხილით ეკიდება.[111]

4.5 ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ქართული მოდელი

საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღიარებულია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, თუმცა ამის ფონზე კონსტიტუციის დონეზე მართმადიდებლურ ეკლესიას აყენებს უპირატეს მდგომარეობაში.[112] საქართველო ისეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, რომლებიც აღიარებენ ეკლესია-სახელმწიფო შორის გამიჯვნის პრინციპს, მაგრამ ერთ კონკრეტულ რელიგიას განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს. საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია სარგებლობს კონსტიტუციური პრივილეგიით და კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც კონსტიტუციის შემდეგ უპირატესია სხვა კანონმდებლობასთან მიმართებით.[113]

სახელმწიფოს ნეიტრალობა რელიგიურ სფეროში ამ ორის სრულ გამიჯვნას არ გულისხმობს. უპირატესი რელიგიის სისტემის ქვეყნები აღიარებენ რწმენის თავისუფლებას, არ გააჩნიათ სახელწიფო რელიგია, მაგრამ ერთ კონკრეტულ

---

[110] იხ., იქვე გვ. 109.
[111] იხ., იქვე
[112] იხ., საქართველო კონსტიტუცის მე-8 მუხლი.
[113] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ 111.

რელიგიურ გაერთიანებას ანიჭებს უპირატეს სტატუსს, რომელიც გამოწვეულია ისტორიულ-კულტურული პროცესების გათვალისწინებით.[114]

ეკლესია-სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის მოდელი არჩია საქართველომაც, რომელმაც 1995 წლის კონსტიტუციით ეს უფლება მიანიჭა მართმადიდებლურ ეკლესიას. უპირატესობა მართმადიდებლური ეკლესიის მიმართ განპირობებული იყო იმ მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, რომლითაც ქრისტიანობა დაკავშირებულია ქართულ სახელმწიფოებრიობასთან. მოგვიანებით კი კონსტიტუციური შეთანხმების შედეგად, სამართლებრივად დაზუსტდა ის უპირატესობები, რომელიც მართმადიდებლურ რელიგიასა და ეკლესიას ანიჭებს პრივილეგირებულობის სტატუსს.[115]

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას სამართლებრივი თვალსაზრისით ბევრი პრობლემა ახლავს. საქართველოში დღემდე არ არსებობს ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სხვადასხვა რეიგიური გაერთიანებების სტატუსს დაადგენდა და სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხს დაარეგულირებდა.[116]

ქართული სისტემა მართალია ეკლესიასთან ურთიერთობის თანამშრომლობის სისტემას ამკვიდრებს, მაგრამ აღნიშნული ურთიერთობა უმეტეს შემთხვევაში ერთი კონკრეტული რელიგიის მიმართ ხორციელდება. თანამშრომლობის უკეთესი სისტემის ჩამოსაყალიბებლად კი აუცილებელია სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ხდებოდეს მეტი ყურადღების გამოჩენა. ზოგადად, რელიგიური გაერთიანებები ის სამოქალაქო ინსტიტუტებია, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საზოგადების ეთიკურ და სამოქალაქო საკითხთა განსაზღვრაში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მართმადიდებლური ეკლესია აქტიურად მონაწილეობს ამ საკითხში.[117]

---

[114] იხ., იქვე გვ 112.

[115] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ, 112.

[116] იხ., იქვე, გვ.113

[117] იხ., იქვე.

ურთიერთობის ქართული მოდელი, სამართლებრივად აღიარებს რელიგიის თავისუფლებას. მიუხედავად ამისა მართმადიდებლურ რელიგიას ანიჭებს უპირატესობას და სხვა რელიგიური გაერთიანებების მდგომარეობა, არა მარტო სამართლებრივად, არამედ სოციალურადაც დაკნინებულია. სახელმწიფო მონდომებული უნდა იყოს, რომ შექმნას რელიგიური საქმიანობისათვის ჯანსაღი გარემო, რომელშიც თითოეული რელიგიური ჯგუფი თუ ადამიანი შეძლებს თავიანთი უფლების განხორციელებას.[118]

4.6 ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი

რელოგიურ ორგანიზაციებს, როგორც სამოქალაქო აქტორებს, მისი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ სახელმწიფოსთან დაკავშირებული რეფორმების გატარების პროცესში. ეკლესიის როლი კიდევ უფრო იზრდება დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყებში, სადაც ეკლესიას საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი და დამოუკიდელობა გააჩნია. ამ უპირატესობით სარგებლობს მართმადიდებლურ ეკლესია, რომლითაც იგი გამოირჩევა ქვეყანაში არებული სხვა სამოქალაქო სექტორებისაგან. იგი არა მარტო ფლობს ამ უპირატესობას, არამედ აქტიურადაც მონაწილეობს საზოგადოებაში და სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებში.[119]

სამოქალაქო სექტორი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში. რელიგიური გაერთიანებებიც ასეთ აქტორებს მიეკუთვნება მათ შორის მართმადიდებლური ეკლესიაც. საქართველოში მართმადიდებლური ეკლესია არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ მისი ამჟამინდელი სტატუსიდან გამომდინარეც განსაკუთრებული სამოქალაქო აქტორია. მიუხედავად სახელმწიფოს დაფინანსება, იგი მაინც ინარჩუნებს

[118] იხ., იქვე გვ.114.
[119] სალომე მინესაშვილი, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები, მაისი 2017/ გამოცემა N8, გვ 1.

სახელმწიფო ავტონომიას და ხშირ შემთხვევებში მთავრობისაგან განსხვავებული პოზიციები გააჩნია. ეკლესია არა მხოლოდ ფლობს გავლენიან ბერკეტებს, არამედ მას აქვს დიდი სურვილი ჩაერიოს და გავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებზე. [120]

მართმადიდებლური ეკლესია საქართველოში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით გვევლინება, რომელიც მას სამოქალაქო სექტორის მონაწილედ აქცევს. ეკლესიას აქვს იმის სწრაფვა, რომ მოიცვას საზოგადოების სხვადასხვა სფერო და გავლენას ახდენდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ეკლესიას მფლობელობაში აქვს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებები, ინსტიტუტები, სკოლები, სასულირო სასწავლებლები და ა.შ. გარდა ამისა, ეკლესიას ბევრჯერ უცდია გავლენა მოეხდინა როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაზე. მაგ: 2015 წელს დაწყებული კამპანია კონსტიტუციაში ქორწინების მნიშვნელობის განსაზღვრასთან დაკავშირებით შექმნილი კანონპროექტი.[121]

ეკლესია, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელი სექტორია. თუმცა საინტერესოა, რამდენად შეესაბამება მისი სტრუქტურული მგომარეობა დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებსა და კრიტერიუმებს, რადგან ეკლესიიის შინაგანი სტრუქტურა არადემოკრატიულია და დამყარებულია იერარქიულ რანგირებაზე. იდეოლოგიურად მის ერთადერთ მიზანს ერის სულიერი მდგომარეობა წარმოადგენს, რაც ძალიან შორს არის საზოგადოების სოციალური განვითარებისაგან. ამის მაგალითად შეგვიძლია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ქადაგებაზე პატრიარქის განცხადება მოვიყვანოთ. „ახლა მიღებულია ასეთი ტერმინი, რომ ცოლი და ქმარი თანასწორუფლებიანია. საღმრთო წერილი ამბობს, რომ ოჯახში მთავარი არის ქმარი. ოჯახი ეს არის ერთი სხეული და არ შეიძლება ერთ სხეულზე იყოს ორი

[120] იხ., იქვე, გვ 3.
[121] ს. მინესაშვილი, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები, მაისი 2017/ გამოცემა N8, გვ 5.

თავი“.[122] შესაბამისად, ეკლესიის დამოკიდებულება წინააღმდეგობას უფრო ჰგავს, ვიდრე რაიმე ახლის სურვილით ცვლილებების განხორციელებას.[123]

ეკლესიის როლი საზოგადოებაში იმაზეცაა დამოკიდებული, თუ როგორი ურთიერთობა აქვს მას სამოქალაქო სექტორის სხვა წევრებთან. მართმადიდებლურ ეკლესიას საკმაოდ დიფერენცირებული ურთიერთობა აქვს სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა სუბიექტებთან. ეს დამოკიდებულება ძირითადად ემყარება ამ სექტორების საქმიანობის სხვადასხვაობას. ვინაიდან ეკლესიის უმთავრესი საქმიანობა საზოგადოების სულიერი კვებაა, ამიტომ იგი ძირითადად თანამშრომლობს იმ ჯგუფებთან , რომლებიც ამ მიზნით თანხვედრაში მოდის ეკლესიასთან.[124]

განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ეკლესიას არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. არასამათავრობო სექტორის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს და დიდ ყურადღებს აქცევს უმცირესობათა უფლებების დაცვას, ეკლესიისთვის მიუღებელია და არ თანამშრომლობს მათთან. მეტიც, ეკლესია მათ ფსევდოლიბერალებს უწოდებს და ტრადიციების იგნორირებაშიც კი ადანაშაულებს. არსებობს დადებითი თანამშრომლობაც ეკლესიასა და არასამთავრობო ორგანიზაცებს შორის. ეს დამოკიდებულია საერთო ინტერესებზე, რომლის შემთხვევაში ეკლესიას შეუძლია დათმოს პოზიციები და წავიდეს თანამშრომლობაზე.[125]

ასევე განსხვავებულად თანამშრომლობს მართმადიდებლური ეკლესია სხვა კონფესიებთან, რომლებთანაც ურთიერთობა იერარქიაზე არის დაფუძნებული. ამის უპირატესობას მართმადიდებლურ ეკლესიას 2002 წელს გაფორმებული

---

[122] ილია მეორე: „ოჯახში მთავარი არის ქმარი“, 29.04.2012., იხ., http://www.tabula.ge/ge/story/59228-ilia-meore-ojaxshi-mtavari-aris-qmari?fbclid=IwAR1TeonRZ4NZTNXcpyROpAWqW85XpS8TazZucxF3WXdl62cXsrIlFpTl9-Y [14.05.2021:50].

[123] ს. მინესაშვილი, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები, მაისი 2017/ გამოცემა N8, გვ 5-6.

[124] ს. მინესაშვილი, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები, მაისი 2017/ გამოცემა N8, გვ 5-6.

[125] იხ., იქვე.

კონსტიტუციური შეთანხმებაც აძლევს[126]. საქართველოს ეკლესია მხოლოდ ისტორიულად ჩამოყალიბებულ რელიგიებს სცნობს (კათოლიკური, იუდაიზმი, ისლამი და სომხეთის სამოციქულო ეკლესია) დანარჩენს უბრალოდ არ აღიარებს. ეკლესია თანამშრომლობს აღნიშნულ რელიგიებთან მხოლოდ იმ ფორმატში, რომელიც მის უპირატესობას უწყობს ხელს.[127]

მართმადიდებლური ეკლესია არამარტო მნიშვნელოვანი სამოქალაქო აქტორია საზოგადოებაში, არამედ აქვს იმის მოთხოვნილებაც, რომ აქტიურად იყოს ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. ეკლესიას აქვს შესაძლებლობა დიდი წვლილი შეიტანოს დემოკრატიზაციის პროცესში. მიუხედავად ამისა მას გააზრებული უნდა ჰქონდეს მისი სოციალური სტატუსი და მდგომარეობა ქვეყანაში.[128]

---

[126] კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის, იხ., http://www.orthodoxy.ge/samartali/konstitutsiuri_shetankhmeba.htm?fbclid=IwAR0Rz4bhDlyjJM9eTqvd6E144Gtwgz5PeJA01yAEFzf9kZzkspVm2w8Nsis [15.05.20 13:54].

[127] ს. მინესაშვილი, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძლებლობები, მაისი 2017/ გამოცემა N8, გვ 10-11.

[128] იხ., იქვე.

V.კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და მართმადიდებელ ეკლესიას შორის

5.1კონსტიტუციური შეთანხმების დადების მიზეზები და წინმდევი პროცესები

რელიგია და სამართალი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად დაიწყო ნორმატიული დოკუმენტის შექმნის პროცესები. ქრისტიანობამ დიდი წვლილი შეიტანა საერო სამართლის განვითარაში. ამ მხრივ კი სრულებით კანონზომიერია ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება. პროექტზე მუშაობა 2 წელი გაგრძელდა. სანამ შეთანხმებას მხარეების მიერ ხელი მოეწერებოდა, გამოკვლევები ჩაუტარდა ევროსაბჭოსა და ვენეციის კომისიის მიერ, რომლის შესაბამისადაც ბევრი ნორმა საგრძნობლად დაიხვეწა და ტექსტში გარკვეული ცვლილებები შევიდა.[129]

კონსტიტუციური შეთანხმება დაიდო 2002 წლის 14 ოქტომბერს. შეთანხმებას ხელი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ მოაწერეს.

„კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში მართმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ ისტორიულ როლზე საუბარი და ხაზგასმა შეიძლება განიმარტოს, როგორც შეთავაზება მართმადიდებლური ეკლესიისათვის კვლავაც გააგრძელოს ისტორიული მნიშვნელობის როლის თამაში სახელმწიფოსთვის. ამის ხაზგასასმელად თავად კონსტიტუციური შეთანხმების დადების ფაქტიც გამოდგება. ქართული სახელმწიფო მართმადიდებელ ეკლესიას განიხილავს

[129]დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ, 115.

ისტორიულად ჩამოყალიბებულ სსიპ-ად, ცნობს მის ავტონომიურობას შიდა საქეებში და მისი საქმინაობის დამოკიდებულებას. კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფო გამოთქვამს ეკლესიასთან თანამშრომლობის სურვილს. ამასთან, აღიარებს ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთერთჩაურევლობის პრინციპს".[130]

5.2 კონსტიტუციური შეთანხმების შინაარსი

ეკლესის ავტონომიურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ელემენტი ეკლესიის უფლებაა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს შიდაა საქმეები და განახორციელოს შიდაორგანიზაციული საქმიანობები. XVIII საუკუნის კონსტიტუციურმა რევოლუციურმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ეკლესიის თვითმყოფადობის დამკვიდრებას.[131]

„მართმადიდებლური თეოლოგიის მიხედვით ეკლესია და სახელწიფო მშვიდობიანად უნდა თანაარსებობდნენ ადამიანთა კეთილდღეობისათვის. მათი ურთერთობა „საერო და სასულიერო ძალაუფლების სიმფონიად" აღიქმება. კანონიკური სამართალი ეკლესიისა და სახელწიფოს წარმოშობას ღვთაებრივ ნებას უკავშირებს, თუმცა მათი საქმიანობის სფეროებს განარჩევს: ეკლესიას ადამიანის სულზე, ხოლო სახელმწიფოს - ხორცზე ზრუნვას აკისრებს".[132]

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დამოუკიდებლობისა და ურთერთჩაურევლობის შეთანხმება მიღწეულია, მისი პრაქტიკულად განხორციელება საკმაოდ რთულია. ამ ორ ძალას შორის ფორმალური გამიჯვნა უფრო მარტივია, ვიდრე შინაარსობრივი და ასევე, ეს გამიჯვნა ვერასდროს იქნება სრულყოფილი.[133]

---

[130] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ, 116.
[131] იხ., იქვე გვ,117.
[132] იხ., იქვე.
[133] იხ., იქვე.

კონსტიტუციური შეთანხმება განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს კათალიკოს პატრიარქს და მის ხელშეუვალობას უზრუნველყოფს. ხელშეუვალობის მსგავსი ფორმით სარგებლობს საქართველოს პრეზიდენტიც თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში. კონსტიტუციური შეთანხმების ეს ნაწილი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღიარებს ეკლესიის განსაკუთრებულობას.[134]

5.3 კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი სტატუსი

კონსტიტუციურ შეთნხმებას განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი აქვს და მის მიმართ სპეციალური სამართებრივი პირობები მოქმედებს.[135] კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია და ნორმატიული აქტების კატეგორიას განეკუთვნება,[136] თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს დოკუმენტი თავისი ბუნებით და მიღების მექანიზმებით საგრძნობლად განსხვავდება სხვა ნორმატიული აქტებისაგან.[137] „ეს არის უნიკალური ხასიათის დოკუმენტი როგორც თავისი იურიდიული ბუნებით, ისე შინაარსობრივი ასპექტებით.[138]

კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი უპირატესობა ქვეყანაში მოქმედ სხვა აქტებთან შედარებით ისაა, რომ იგი შეთანხმების ორმხრივი დოკუმენტია და სახელმწიფოს მხრიდან დაუშვებელია მისი შეცვლა ან შეწყვეტა საპატრიარქოს თანხმობის გარეშე.[139] შეთანხმებას სახელმწიფოს სახელით ხელს

---

[134] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ,119.
[135] საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი
[136] „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი
[137] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ,123.
[138] ცნობილაძე პ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ტ.I, თბილისი 2005, 202.
[139]დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ, 123.

აწერს საქართველოს პრეზიდენტი და მართმადიდებლური ეკლესიის სახელით კათალიკოს- პარტრიარქი.[140]

„კონსტიტუციური შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ აუცილებელია მისი დამტკიცება ორივე მხარის უმაღლესი წარმომადენლობითი ორგანოების მიერ. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების ძალაში შესვლასთან დაკავშირებული პროცედურები ვატიკანის კონკორდატების მიბაძვით გაკეთდა. საქართველოს მხრიდან შეთანხმებას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის 3/5 უმრავლესობით, ხოლო ეკლესიის მხრიდან -წმინდა სინოდი. ამ უკანასკნელის შემთხვევაში კვორუმი დადგენილი არაა, შესაბამისად, ივარაუდება, რომ სამართლებირვი შედეგისათვის უბრალოდ უმრავლესობით მხარდაჭერაც საკმარისი იქნება“.[141]

კონსტიტუციური შეთანხმება განუმეორებელი ხელშეკრულებაა, რომელიც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის როგორც სსიპ-ს შორის დადებული ხელშეკრულებაა. ამის მიუხედავად, იგი მაინც საერთაშორისო ხელშეკრულებზე მაღლა დგას ნორმატიულ აქტებს შორის იერარქიის მიხედვით.[142]

კონსტიტუციური შეთანხმება არ არის საერთაშორისო ხელშეკრულება. იგი დადებულია სახელმწიფოსა და ამ სახელმწფოში მოქმედ ეკლესიას შორის. მიუხედავად ამისა, მას მაინც აქვს ის თვისებები, რაც დამახასიათებელია საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის. შეთანხმების შინაარსი ძალიან ჰგავს კონკორდატს, მაგრამ ვატიკანისაგან განსხვავებით მართმადიდებლური ეკლესია

---

[140] საქართველოს სახელმწიფოსა და და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.
[141] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ 123.

[142] Tsinsadze KH., Legal Apects of Church-State Relations in Post-Revolutionary Georgia, “Brigham Young University Law Reviev” 2007, N3, 764.

არ ატარებს საერთაშორისო სამართლის სტატუს.[143] ამ მიზეზითვეა, რომ მას სჭირდება „დამტკიცება“ და არა „რატიფიკაცია“.[144]

კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოს მხრიდან ერთი კონკრეტული რელიგიის მიმართ მიკერძოებულობას არ გულისხობს, პირიქით, საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია რწმენის თავისუფლება და მისი დაცვა.[145] ამასთან ერთად სახელმწიფო უფლებამოსილია დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ერთ კონკრეტულ რელიგიურ მიმდევრობას უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს, ამისათვის კი აუცილებელია ეს გამოწვეული იყოს შესაბამისი ობიექტური მიზეზებით, როგორიცაა: ისტორიული ფაქტორები, საზოგადოების დამოკიდებულება ამ კონკრეტულ რელიგასთან დაკავშირებით და ა.შ. ამ კონკრეტული შემთხვევებით კი საქართველოს ჰქონდა მყარი საფუძლები იმისა, რომ დაედო კონსტიტუციური შეთანხმება მართმადიდებლურ ეკლესიასთან და მისთვის მიენიჭებინა განსაკუთრებული უპირატესობები. კონსტიტუციური შეთანხმება კი, თავისი ნორმატიული ბუნებით სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპულ დოქტრინასთან.[146]

5.4 საფინანსო თანამშრომლობა

რაც შეეხება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორს კონსტიტუციურსამართლებრივ ურთიერთობებს, იგი ყველაზე მეტად გამოხატვას ჰპოვებს საგადასახადო სფეროში. კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ეკლესიის მიერ დამზადებული საღვთისმსახურო პროდუქცია, შემოწირულობები,

---

[143] დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ,130.
[144] კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი 2004. გვ 85.
[145] საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი.
[146]დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ,140.

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ის კატეგორია, რომლის არაკომერციული მიზნით გამოიყენება გაათავისუფლოს გადასახადებისაგან. [147]

ამ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების ფონზე სახელმწიფომ აღიარა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ფაქტი, როგორც ჩამორთმეულ ქონების ნაწილის მფლობელმა და აიღო ვალდებულება მიყენებული ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე.[148]

სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ეკლესიის საკუთრება და ქონებრივი უფლებები.[149] ეკლესიის საკუთრებად მიჩნეულია როგორც მოქმედი, ისე არამოქმედი ტაძრები, მონასტრები, ძველი დაზიანებული თუ დანგრეული ტაძრები და მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ეს ეკლესია-მონასტრებია განლაგებული.[150] რაც შეეხება დაფინანსების წყაროს, ის მოიცავს: ნებაყოფლობით შემოწირულობას, სამეწარმეო შემოსავლებს, ინვესტიციებს, გრანტებს, დახმარებებს და კანონმდებლობთ გათვალისწინებულ სხვა სახის დახმარებებს.[151]

---

[147] იხ., იქვე გვ 120.
[148] საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[149] იხ., იქვე. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[150] საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[151] იხ. იქვე მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი.

VI.კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულება

კონსტიტუციური შეთანხმება ბევრი ისეთი ნორმისაგან შედგება, რომლებსაც არ აქვთ სამართლებრივი ძალა სამოქმედოთ. იმისათვის, რომ არათვითაღსრულებადი ნორმები ამოქმედდეს, საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება. 2003 წელს საქართველს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა სპეციალური კომისიები. მათ უნდა შეემუშავებინათ სამუშაო დებულებები, რომელიც შემდგომ დამტკიცებული უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის მიერ, თუმცა ამ შეთანხმების განსახორციელებლად ნაბიჯიც კი არ გადადგმულა და კომისიებს დაკისრებული მოვალეობები არ განუხორციელებიათ.[152]

2012 წელს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა კონსტიტუციური შეთანხმების განმხილველი სამთავრობო კომისია, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა განსახილველ საქმეთა სამუშაო ჯგუფებისაგან. „1. ქონებრივი საკითხების განმხილველი და ეკლესიის ეკონომიკური საქმიანობისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემქმნელი სამუშაო ჯგუფი; 2. XIX და XX სს-ში (საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში) ეკლესისათვის

[152] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) მიერ მომზადებული ანგარიში- რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა. გვ.21-22

მიყენებული ზარალის დამდგენი სამუშაო ჯგუფი; 3.სახელმწიფო მუზეუმებში დაცული საეკლესიო საგანძურის და ისტორიული მნიშვნელობის ტაძრების მოვლა-პატრონობის რეჟიმის დამდგენი სამუშაო ჯგუფი; 4.კანონით დადგენილი წესით ჯვრისწერის აღიარების განმსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი; 5.სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის განმსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი; 7.საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საპატრიარქოს სამართლებრივი სტატუსის და იქ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობისა და საკუთრების განმსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი; 8. რელიგიური დანიშნულების ნაგებობათა წარმომავლობის დამდგენი სამუშაო ჯგუფი“.[153]

მიუხედავად ამ დადგენილებისა, კომისიისა და სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოს დამადასტურებელი არცერთი დოკუმენტი არ მოიპოვება.[154]

კონსტიტუციური შეთახების საფუძველზე ამ დრომდე მხოლოდ სამი შეთანხმებაა გაფორმებული. „ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მართმადიდებლური ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების მემორანდუმი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის ხელშეკრულება, შეთანხმება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის პრობაციონერთა და არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სფეროში“.[155]

გასაკვირია ის ფაქტი, რომ არც ამ მიღებული დადგენილების საფუძველზე მომხდარა სამუშაო ჯგუფის მიერ რაიმე საკითხის შესწავლა. ამრიგად, სახელმწიფოს დღემდე არ ჰქონია მცდელობა, რომ განეხორციელებინა კონსტიტუციური შეთანხმების აღსრულება და იგი მოექცია სამართლებრივ

[153] კონსტიტუციური შეთახმების სამართლებრივი ანალიზი, ნაწილი 1. გვ 24.
[154] კონსტიტუციური შეთახმების სამართლებრივი ანალიზი, ნაწილი 1. გვ 24.

[155]დ. გეგენავა, კონსტიტუციური შეთანხმება ,როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2016, გვ,147.

ჩარჩოში. ასევე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილემა იმ ფაქტზე, რომ კონსტიტუციურ შეთანხმებასთან დაკავშირებით სამთავრობო კომისიის გარდა დაინტერესებული არის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. იგი საქართველოს მთავრობის დადგენილების[156] შესაბამისად ამზადებს რეკომენდაციას კონსტიტუციური შეთანხმების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან დაკავშირებით. სააგენტოსა და კომისიას შორის აქამდე არ ყოფილა თანამშრომლობის რაიმე ფორმა გამოვლენილი, რადგანაც მათი უფლებამოსილებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკვეთრად გამიჯნული არ არის. არსებობს სამომავლო რისკი იმის შესახებ, რომ მათი განმარტებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.[157]

[156] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის დადგენილება (N177) მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
[157] კონსტიტუციური შეთახმების სამართლებრივი ანალიზი, ნაწილი 1. გვ 25

დასკვნა

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ რელიგია და კერძოდ ეკლესიის ინსტიტუტი დიდ როლს თამაშობს ქვეყნების სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში. ეკლესია დიდი გავლენის მატარებელი სუბიექტია და მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი, როგორც უკვე ნაშრომის ძირითად ნაწილში ვახსენეთ, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. ეკლესიის სტატუსის განსხვავებულობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მისი ისტორიულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობაა, რომლის გათვალისწინებითაც ის იღებს იმ კონსტიტუციურ სტატუსს, რომელსაც შემდგომ ის ატარებს ამ ქვეყნებში.

ჩვენს ქვეყანაშიც ეკლესიისთვის ასეთი მაღალი სტატუსის მინიჭება სწორედ მისმა ისტორიულმა ფაქტორებმა და საზოგადოებაში მისმა როლმა განაპირობა. ამრიგად ეკლესია საქართველოში მისი უმთავრესი დანიშნულების გარდა, რაც საზოგადოების სულიერ სიმშვიდესა და მზრუნველობას წარმადგენს, ასევე ეწევა ისეთ საქმიანობას, როგორიცაა ქვეყნის განვითარებისკენ მიმავალი გზები. ასევე იგი ქვეყნის იდეოლოგიის საკითხებში დიდ როლს თამაშობს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში რელიგიის თავისუფლების თვალსაზრისით დიდი ხარვეზებია, რაზეც მართმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებაც

მეტყველებს, რომლითაც სახელმწიფო აღიარებს ამ რელიგიის მიმართ უპირატესობას და მის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მართმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იგი მესაკუთრეა იმ მიწის ნაკვეთებისა, რომელზეც ეკლესია-მონასტრებია აგებული[158], იმ საგანძურისა, რომელიც ამ ეკლესიებშია გამოფენილი[159]. უპირატესობის მაგალითია ისიც, რომ ამ შეთანხმების საფუძელზე დადგენილია ეკლესიის დაფინანსებს წყაროები[160], რომელიც არ გააჩნია სხვა რელიგიურ გაერთიანებებს. მეტიც, ქართული კანონმდებლობა სართოდ დუმს ამ საკითხთან დაკავშირებით და არ არსებობს რაიმე სახის ნორმატიული დოკუმენტი, რომლითაც გათვალისწინებული იქნებოდა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების საკითხი. მართმადიდებლური ეკლესია კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე სარგებლობს სხვადასხვა უპირატესობებითაც, რომლებიც არ გააჩნია სხვა რელიგიურ ჯგუფებს თუ გაერთიანებებს.

ამის ფონზე კი, რაც არ უნდა პარადოქსათ მოგვეჩვენოს, არ ირღვევა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ის სტანდარტები, რომლებსაც ევროკავშირი ადგენს.

უდავოა და გაკიცხვას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ მართმადიდებლურმა რელიგიამ დიდი გავლენა იქონია ქართველი ერის იდენტობის ჩამოყალიბებაში და ამ საქმეში ქრისტიანობა პირველივე საუკუნიდანვე ჩართულია,მაგრამ ამის ფონზე სხვა კონფესიების მიმართ მდგომარეობა და დამოკიდებულება გარკვეულ ბალანსს უნდა ემყარებოდეს.

როგორც ვიცით, საქართველოში ბევრი ეთნიკურად განსხვავებული ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. ასევე ბევრია ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული კონფესიები. ამის გათვალისწინებით კი რელიგიის თავისუფლების საკითხში სახელმწიფოს დამოკიდებულება და სამართლებრივი სტანდარტები ხარვეზების შემცველია და გადასინჯვას საჭიროებს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად

[158] კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის. მე-7 მუხლის პირველი პუქტი.
[159] იხ., იქვე, მუხლი 8
[160] იხ., იქვე, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი.

აუცილებელია ახალი სამართლებრივი მოდელის შექმნა, რომლითაც სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის თანამშრომლობის უკეთესი გზები შემუშავდება. ასევე დასარეგულირებელია ურთიერთობები სახელმწიფოსა და მართმადიდებელ ეკლესიას შორის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სეკულარულ მმართველობას მიეკუთვნება, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გამიჯვნითი ურთიერთობები უნდა არსებობდეს. ეს უკანასკნელი მაინც დიდი გავლენის მატარებელი სუბიექტია, რაზეც ჩვენს მიერ უკვე ბევრჯერ ნახსენები კონსტიტუციური შეთახმება მეტყველებს.

ნაშრომის ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სეკულარიზმი მრავალსაფეხურიანი მოვლენაა, რომელიც განსხვავებულად ვლიდება სხადასხვა ქვეყანაში, ამიტომ მისი ერთი მიმართულებით განხილვა ყველგან არასწორია. რელიგიის მიმართ საშუალო პოზიციის დამყარება სახემწიფოს მხრიდან არ უნდა აღიქმებოდეს ისე, თითქოს ამით მისი როლის დაკნინება ხდება[161]. მთავარია თანამშრომლობის მოდელით სხვათა რელიგიური და თანასწორობის უფებები არ შეილახოს.

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება არ წარმოადგენს იმ ნორმატიულ დოკუმენტს, რომელიც სრულყოფილი სახის მატარებელი იქნება, მასში ძალიან ბევრი ხარვეზია და იგი არის უამრავი პრობლემის გამომწვევი მიზეზი. მაგალითად, ამ შეთანხმებით ირღვევა რელიგიის თავისუფლების უფლება, ამ შეთანხმებით სახელმწიფო არ არის ნეიტრალური და ტოლერანტული ყველა სხვა დანარჩენი კონფესიების მიმართ. აუცილებელია ამ პრობლემების გამოსწორება და ურთიერთობის მოგვარების უკეთესი, უფრო სამართლიანი გზის მოძებნა. მნიშვნელოვანია კონსტტუციურ შეთანხმებაში ისეთი სახის ცვლილებების შეტანა განხორციელდეს, რომელის სრულიად შესადარი იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის და ასევე სხვა რელიგიების უფლებები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.

[161] Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia [ECTHR] App.no. 71156/01, 3 May 2007, Paris. 131-132

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები:

1.საქართველოს კონსტიტუცია , თბილისი 2018 წელი.

2. კონსტიტუციური შეთანხმეა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის, 2002 წელი.

3. საქართველოს კანონი „ ნორმატიული აქტების შესახებ“ თბილისი 2018 წელი.

სამეცნიერო ლიტერატურა

4.აბზიანიძე ა., საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილსი 2006.

5.ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

6.გაჩეჩილაძე პ., ჩიკვაიძე დ.,“მართადიდებელი ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში“, თბილისი 2016.

7.გეგენავა დ. კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში, თსუ, თბილისი 2016.

8. ვაშაყმაძე ზ., აბაშიძე ლ., სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში, თბილისი 2016.

9. ვაშაყმაძე ზ., რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, თბილისი 2015.

10. ვაშაყმაძე ზ., რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, თბილისი 2020.

11.ერქვანია თ. სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების სამართლებრივი კონტექსტი -ქართული მოდელი.

12. კავშირი „ 21-ე საუკუნე “, სახელმწიფო და ეკლესია ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში.

13. კონსტიტუციური შეთანხების სამართლებრივი ანალიზი, ნაწილი პირველი.

14.კორკელია., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი 2004.

15. მეტრეველი ა. რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში (1995-2014წწ), საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი 2015.

16. მინესაშვილი ს. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი: გამოწვევები და შესაძებლობები.

17. მღვდელმონაზონი ანდრია (სარია), საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა 1921-1917 წლებში, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი 2019.

18. შარვაშიძე ლ., რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში, თბილისი 2014.

19. ცნობილაძე პ. საქართველოს კონოსტიტუციური სამართალი, ტ1. თბილისი 2005.

უცხო ენოვანი ლიტერატურა:

20.Tsintsadze Kh., legal Apects of Church-State Relatins in Post-Revolutionary Georgia, “Brigam Young University Law Review”.

21. Members of the Gldani Congregation of Jehovah’s Withnesses and Others v. Georgia, [ECtHR]. 3 May 2007.

22. Religion-State Relations., იხ., https://www.idea.int/sites/default/files/publications/religion-state-relations-primer.pdf

23. E.Ervas., The Agreement Beetwen Church and State: The Italian Perspective, 2017, იხ., https://digitalcommons.law.byu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3110&context=lawreview

24. Z. Combilia, M.Roca ., Religion and the Secular State of Spane, იხ., https://original.religlaw.org/content/blurb/files/Spain.2a.pdf

ინტერნეტ რესურსები:

25. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი მოდელი, იხ., http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619861&kat=346&fbclid=IwAR1E_7Y0whpne6MejrB-KkXqIdxgjTGT1woUGAR8Ep3KFao731mZ13nf1KE

26. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურტიერთობის სამი ტრადიცია, იხ., http://message.ge/2019/01/27/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1/?fbclid=IwAR0ww4JjPYuq9W8FKhIymhA5kjto0b7hKn5NAPEE_mJy4hguKDqRWTWsmuQ

27. რელიგიური სიტუაცია საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა) http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/religiuri_situacia.html?fbclid=IwAR0pO2exC4oRGR_Y_aoYiVn-81b5SElXdkVa8uLkTFmzPyHT-noG0aMmZA8

28. სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების, სხვადასხვა შეღავათები და მათი ურთიერთობის ევროპული მოდელი, იხ., https://dshonvadze.wordpress.com/2017/12/27/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98/?fbclid=IwAR0ETLWNtWKVSksSrbKM1Xgdqby8ErE18r2ON5EIyHcQGv-lytfP1W8KBoo

29. ქრისტიანობა, იხ., https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90?fbclid=IwAR0m46Nhld4pyghW4kXECCEZCH2KLgYjGCIU65BsYebbKthgd4cKunJWxlo

30. საქართველო IV საუკუნეში, იხ.,
https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D_IV_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%98?fbclid=IwAR0l_yzlLrLyMTNKo22dfDurENgA0vk-BNGatTISYXxyu2bTohF0x7G21-U

31. ქრისტიანობა საქართველოში, იხ.,
http://icode.ge/2011/01/14/%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8/?fbclid=IwAR0v1zjz7jqIolOaprDpwKX3zaw3rROq4udnk9hNMh6TBUUm3kK1bJvvSJw

32. ქართლის გაქრისტიანება, იხ,
https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90?fbclid=IwAR1l6_UgBoAP44uUoQxbm7BObWCAxegQJry-TcyxJ_Lxu9mddv8OiSgYUb4

33. ეკლესიის რეფორმატორი ქართველი მეფეები, იხ.,
http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=5&id_artc=33872&fbclid=IwAR3-X0SIP81zVhfQCYGqZZsNKAfSNXsHUbLNfeqXsj4Gy8BPFGHiJUZ--ac

34. ვახტანგ I გორგასალი, იხ.,
https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92_I_%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR0w6ZLf9t2_d7Dzvk8gWj4nu5qy8HjM51-im1wWrQf0_D59pCSLhA43Nyk

35. საეკლესიო რეფორმები, იხ.,
https://kakhajavakhishvili.wordpress.com/2015/02/21/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90/

36. საეკლესიო სამართლის საკითხები, იხ., http://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/3-6-7.htm?fbclid=IwAR12RTEFcK8n53JCAxshW_meQVm2nzSbv57ezRmNtucePVVursfVtjKgqIs

37. რუის-ურბნისის ძეგლისწერა, იხ.,
https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90?fbclid=IwAR2yLFqqGob2zx0s39PqL7LUvrRc9w8YAVG0RJppKhcsrzUcDviBtW2SZIc

38. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა, იხ.,
http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=307&fbclid=IwAR1dpzVlDkTeCgWEdCFbhhPIrSPRpZChVj1LEsEJrlTM0OVkCFqCEZPAV7I

39. ვახტანგის სამართალი, იხ., https://vakhtangvi.blogspot.com/p/blog-page_4981.html?m=1&fbclid=IwAR33cF3eXv4SOrKnME2WMeyF1ju3klMdGvbuAYVzgx3mnQFmWuT2PcV44eE

40. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, იხ.,
https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92_VI-%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98?fbclid=IwAR2PscPQQmcqw1hJWBrf2RXBGQOmOxNgdhIAHd32adQDjrIdlKnR8se2ERk

41.სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, იხ.,
https://ka.m.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90?fbclid=IwAR0XrNfXjcZXQku-S3L1LDJt9a0vlnZ6kpex47LGfpxZQr5jDAjZvwZWd1Y

42.გაუქმებული ავტოკეფალია და რუსული მართმადიდებლური ექსპანსია, იხ.,
http://qronikaplus.ge/?p=11949&fbclid=IwAR0l_yzlLrLyMTNKo22dfDurENgA0vk-BNGatTISYXxyu2bTohF0x7G21-U

43.საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა საქართველოში, იხ.,
https://www.palamacentre.com/2019/05/31/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/?fbclid=IwAR2op30pfdB0iivNN_uNo5wjMCoZdVtxqBdHlbh50ZDaLBGjSFGzjnCOb3U

44. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორია „ერთმორწმუნის“ გაძარცვული ტაძრები და წართმეული სახელმწიფოებრიობა, იხ.,
https://www.newposts.ge/?l=G&id=103308-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%2C%20%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%2C%20%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90&fbclid=IwAR2yLFqqGob2zx0s39PqL7LUvrRc9w8YAVG0RJppKhcsrzUcDviBtW2SZIc

45. საქართველო და სეკულარიზმი: მოდერნული იდეა ტრადიციულ საზოგადოებაში, იხ.,
http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=171557&fbclid=IwAR2P4t8l2kU6k_MAnlsiSX2hNlwvKM0tRsk7E00O6y1iSDZiAsgNllli05Q

46. ილია მეორე: „ოჯახში მთავარი არის ქმარი“. იხ.,http://www.tabula.ge/ge/story/59228-ilia-meore-ojaxshi-mtavari-aris-qmari?fbclid=IwAR1l6_UgBoAP44uUoQxbm7BObWCAxegQJry-TcyxJ_Lxu9mddv8OiSgYUb4

47. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის , იხ.,
http://www.orthodoxy.ge/samartali/konstitutsiuri_shetankhmeba.htm?fbclid=IwAR2H3T0-49TKTOXke2o2KC6PacG3DTsgXwxu6vHWzEiKwZmGt95KxEofF_Y